ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ბეროშვილი

საერთაშორისო სტუდენტური მიგრაცია თბილისში: სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ია იაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

საერთაშორისო სტუდენტური მიგრაცია თბილისში: სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

მიგრაციული პროცესები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მნიშვნელოვანია. სახელმწფიოები თავიანთ საშინაო და საგარეო პოლიტიკას მიგრაციული ნაკადების მიხედვით განსაზღვრავენ. ვინაიდან ქვეყანაში მიმდინარე ყველა დადებით თუ უარყოფით მოვლენაზე განვლენას ახდენს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება, და პირიქით, სწორედ ეს მოვლენები ახდენენ გავლენას მოსახლეობის მიგრაციებზე.

საქართველოს ისტორიაში მიგრაციის როლი განსაკუთრებულია. მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობის გამო გადატანილი ომების შედეგად ნებით თუ უნებლიეთ ქვეყნის მოსახლეობა მიგრირებდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც. მიგრაციული პროცესები კიდევ უფრო გააქტიურდა 1990 -იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველო ცალსახად ემიგრაციის ქვეყანა გახდა, რომლიდანაც შრომით ასაკში მყოფმა მოსახლეობამ დიდი ნაკადებით დაიწყო გადინება.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტური მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლას საქართველოში. განხილული იქნება ყველა ის პოპულარული თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას მსოფლიოში არსებული მიგრაციების მოტივები და გამომწვევი ფაქტორები. ასევე დავინახავთ, მიუხედავად განწყობისა, რომ საქართველო არის ემიგრაციის ქვეყანა, არიან სოციალური ჯგუფები, რომლებიც პირიქით, ჩვენი ქვეყნით ინტერესდებიან, და რომელთა ნაკადებიც წლიდან-წლამდე ზომიერი ტემპებით იზრდება.

იმისთვის რომ შევძლო თეორიების განზოგადება და დასკვნის გაკეთება, ნაშრომის მესამე თავი ეთმობა საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ინდოელ, ერაყელ და ნიგერიელ სტუდენტებთან ჩატარებულ კვლევასა და მის ანალიზს, სადაც ნათლად ჩანს იმ განსხვავებული მიზეზების არსებობა, რომლებიც სამი განსხვავებული რეგიონის წარმომადგენლებს კონკრეტულად საქართველოსკენ მომართავს განათლების მისაღებად. დასკვნაში კი შეჯამებული იქნება ყველა იმ თეორიული თუ სტატისტიკური მასალის მონაცემები, რომლის საფუძველზეც მოხდა ჩატარებული კვლევის ანალიზი.

საერთაშორისო სტუდენტების აქტიური მოზიდვა ქვეყანაში წარმატებით გატარებულმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ საგანმანათლებლო ცვლილებებმა გამოიწვია. საქართველოს ბოლონიის პროცესში ჩაბმით მისი ცნობადობა ამაღლდა. რბილი საემიგრაციო პოლიტიკის წყალობით საქართველოში სულ უფრო მეტი ადამიანი ჩამოდიოდა სხვადასხვა მიზნების განსახორციელებლად, პირველ რიგში აღსანიშნავია სასწავლო იმიგრაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 1 სექტემბერს კანონში შესული ცვლილებებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ბევრი პრობლემა შეექმნათ, რასაც ნაშრომის მიმდინარეობისას ნათლად დავინახავთ.

Annotation

Migration processes are important in any part of the world. The states determine their domestic and foreign policy according to migratory flows. As all the positive and negative events taking place in the country, are changing the number of population, and on the contrary, these events affect the population migration.

The role of migration in Georgian history is exceptional. As a result of significant geopolitical and strategic locations, the population of the country willingly or unwillingly migrated from within the country as well as outside. Migration processes have become more active since the 1990s. Since then, Georgia has become a country of emigration, and from which the population of working age started to flow out.

This master's thesis aims to study the socio-economic aspects of international student migration in Georgia. All the popular theories will be considered to explain the motives and causes of migrations in the world. We also see that despite the mood/attitude that Georgia is a country of emigration, there are social groups, which, on the contrary, are interested in our country, and their flows are growing at a moderate pace of year-to-year.

To be able to generalize the theories and conclusions of the paper, the third chapter is devoted to the study and analysis of the servey of Indian, Iraqi and Nigerian students from Georgian accredited universities, which clearly shows the different reasons of population disicion making from three different regions, who choose for their destination country Georgia. The conclusion will summarize the data of all those theoretical and statistical materials on which the analysis of the survey was conducted.

The active attractiveness of international students was caused by successful economic, political and educational changes in our country. Involvement of Georgia in the Bologna process, increased its awareness. According to soft immigration policy in Georgia, more and

more people came to different purposes, first of all for getting tertiary education. However, it should be noted that on September 1, 2014 the law has changed and non residents faced with many problems, so we will talk about below.

სარჩევი

შესავალი……7

თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო.....10

1.1 სტუდენტური მობილობა და მიგრაცია.....10

1.2 მიგრაციის თეორიები 13

1.2.1 ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია.....14

1.2.2 ახალი ეკონომიკური თეორია.....17

1.2.3 სოციალური კაპიტალის თეორია-თეორიული მოდელი 18

1.2.4 „Push“ (ბიძგისა) და „pull“ (მიზიდვის) თეორია 21

1.2.5 რაციონალური არჩევანის თეორია 23

თავი II. საქართველო და მიგრაციები 26

2.1 საქართველოს მოსახლეობა და მიგრაციის ტენდენციები.....26

2.2 საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკა.....28

თავი III. საერთაშორისო სტუდენტური მიგრაცია თბილისში.....34

3.1 სტატისტიკა საერთაშორისო სტუდენტთა შესახებ თბილისში.....34

3.2 საერთაშორისო სტუდენტები ინდოეთიდან: კვლევა და ანალიზი..39

3.3 საერთაშორისო სტუდენტები ერაყიდან: კვლევა და ანალიზი.....48

3.4 საერთაშორისო სტუდენტები ნიგერიიდან: კვლევა და ანალიზი....52

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა.....60

დანართი 64

შესავალი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება თანამედროვე სასწავლო იმიგრაციას საქართველოში, სადაც აღწერილია იმიგრაციული პროცესების ტენდენტიცები ჩვენს ქვეყანაში და მასთან დაკავშირებული ყველა ის აქტუალური საკითხი, რომელიც სხვა მეცნიერებისთვისაც შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. ზოგადად მიგრაციული პროცესები, თავისი არსით უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ქვეყნისთვის. სახელმწიფოების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის განპირობებული მიგრაციულ ტენდენციებზე.

მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთდროულად არის ემიგრაციისა და იმიგრაციის. ადამიანები კონკრეტული მოტივების გამო აქტიურად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, მიდიან სამუშაოდ თუ განათლების მისაღებად სხვა ქვეყანაში. ცდილობენ გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა, გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები. ნებისმიერი სახელმწიფო შეიძლება იყოს მიმზიდველი კონკრეტული ადამიანებისთვის, ან პირიქით ბიძგის მიმცემი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად.

ნაშრომში განვიხილავ ყველა იმ ძირითად და გავრცელებულ თეორიას, რომელიც სწავლობს მიგრაციებს და აღნიშნული თეორიებისა და ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე შევეცდები ავხსნა, მიგრაციის ის განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც უცხოელი სტუდენტების ნაკადებს საქართველოსკენ მომართავს. ნაშრომის უმთავრესი მიზანი, სწორედ იმ განსხვავებული მოტივების აღმოჩენა და გამოკვეთაა, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონის წარმომადგენლებისთვის, რასაც თავისთავად მათივე რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით არის განპირობებული.

რამდენიმე თეორიის მიმოხილვის კვალდაკვალ, დავინახავთ რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ რომელიმე ერთი თეორია კი არ ესადაგება მიგრაციის მოტივების აღმოჩენას, არამედ თეორიათა სინთეზური ანალიზი. ნაშრომის მსვლელობისა ვეცდები ვაჩვენო, რომ მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმართულების ქვეყნის შერჩევაში, საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებასა და სისრულეში მოყვანაში, უმთავრესად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური ასპექტებია. ემიგრაციის ქვეყნისთვის ისინი უარყოფით კონტესტში აღიქმება , ხოლო იმიგრაციის ქვეყანის შემთხვევაში იგივე ასპექტები მიმზიდველი ჩანს პოტენციური მიგრანტისთვის.

ნაშრომის მსვლელობისას აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მაშინ, როცა ერაყელისთვის, მისი საცხოვრებელი რეგიონის პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველო უპირველესად აღიქმება მშვიდ, უსაფრთხო ქვეყნად, რომელიც პოლიტიკურად არასტაბილური რეგიონიდან წასვლის საშუალებას იძლევა, ნიგერიელისთვის უპირველესი მოტივი უბრალოდ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული განათლების მიღებაა, ხოლო ინდოელისთვის, საშუალება არ დარჩეს უმაღლესი განათლების მიღების გარეშე, ვინაიდან საკუთარ ქვეყანაში, სწავლის საფასურის სიძვირის გამო ისევე, როგორც არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო, ის ვერ შეძლებს სამშობლოში უმაღლესი განათლების მიღებას. რაც სამომავლოდ დაბალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის მიზეზი, ან სულაც უმუშევრობის მიზეზი გახდება.

ნაშრომში აუცილებლად ვისაუბრებთ საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკაზე, რომელიც აუცილებლად მოახდენს სამომავლოდ გავლენას ნაკადების სიხშირისა და რაოდენობის ცვლილებაზე, თუმცა ეს ცვლილება დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ თუ უარყოფითად, ამას რამდენიმე წელიწადში უფრო თვალნათლივ დავინახავთ.

ჩატარებული კვლევა და საბოლოო დასკვნა ვფიქრობ საინტერესო იქნება ყველასთვის, ვინც სამომავლოდ ფიქრობს სიღრმისეულად შეისწავლოს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ ზოგადად იმიგრაციული პროცესები საქართველოში. საინტერესოა იმ მიზეზების კვლევა, რომელიც განსვავებულია რეგიონული თვალსაზრისით. განვითარებადი ქვეყნებიდან მოსახლეობა ხშირად ცდილობს წავიდეს განვითარებულ ქვეყანაში, თუმცა თავად ფაქტი, თუ რატომ შეირჩა მიმართულების ქვეყანად კონკრეტულად საქართველო, და რატომ მოდიან არა მხოლოდ ინდოელები, ნიგერიელები ან ერაყელები, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლები კონკრეტულად ჩვენს ქვეყანაში, თავის მხრივ უფრო სიღრმისეულ კვლევასა და ანალიზს საჭიროებს. თუმცა ნაშრომს გააჩნია გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა. ის სტატისტიკური თუ თეორიული მასალა, რომელიც მასში არის გაანალიზებული, კარგ სამსახურს გაუწევს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ ყველა ფიზიკურ პირსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციას და შესაბამისი პროფილის სამსახურებს განხილული თემების დარეგულირების, რიგი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების დაგეგმვის საკითხებში.

თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

1.1 სტუდენტური მობილობა და მიგრაცია

შესავალში ითქვა რომ ქვემოთ წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშიროსო სტუდენტური მიგრაციის ანალიზს თბილისში იმ უცხოელ სტუდენტთა კვლევის საფუძველზე რომლებიც სწავლობენ თბილისის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში. სანამ თემის ძირითად ნაწილზე გადავალთ, აუცილებელია განვიხილოთ ის თეორიული კონცეფციები, რომლებიც ხსნის საერთაშორისო მიგრაციის, ასევე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის არსსა და სპეციფიკას, რასაც წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა.

გლობალიზაციის ტემპის სწრაფი ზრდის გამო საერთაშორისო მიგრაცია თავის მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ბევრი ნაშრომი შრომით მიგრაციას ეძღვნება, თუმცა ფაქტია, რომ დღეს არანაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია სტუდენტური მიგრაციის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი, ვინაიდან სტუდენტებია ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც პოტენციურ შრომით რესურსს წარმოადგენს სამშობლოსა თუ სხვა ქვეყანაში, შესაბამისად მათი მობილობა განათლების მისაღებად მეტად საინტერესო და კომპლექსური საკითხია, რომელიც მრავალმხრივ კვლევასა და ანალიზს საჭიროებს.

მთავარი კითხვა, როცა ვსაუბრობთ მიგრაციაზე არის ის, თუ რა გარემო ფაქტორები უბიძგებს ადამიანს, დატოვოს სამშობლო და წავიდეს უცხო ქვეყანაში მისი ოცნებების ასასრულებლად. ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს რომ, როცა საქმე ეხება უმაღლესი განათლების მიღებას ინტერესები, მიზეზები და შედეგები კიდევ უფრო მეტად სიღრმისეულია. პირობითად , რატომ ურჩევნია პოტენციურ სტუდენტს_სამედიცინო განათლება მიიღოს გერმანიაში, ვიდრე საქართველოში? ან

რატომ საქართველოში და არა ნიგერიაში? ალბათ განათლების მიღება იქ, სადაც უკეთესი შესაძლებლობებია, პერსპექტიულია და მიმზიდველი; ამავდროულად საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული სწავლება სხვა მრავალ სოციალურ თუ ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, გარკვეულწილად პირობით გარანტიასაც იძლევა რომ სტუდენტს დასაქმების შემთხვევაში სამშობლოშიც და სხვაგან ექნება კარგი ანაზღაურება და უზრუნველყოფილი მომავალი. ამ კუთხით თუ შევხედავთ საკითხს, სტუდენტური მიგრაცია შეიძლება კიდეც ამცირებდეს შრომითი რესურსუს გადინებას. ეს რასაკვირველია ხდება მაშინ, როცა განათლების მისაღებად სხვა ქვეყანაში წასული სტუდენტი სამუშაოდ და საცხოვრებლად უბრუნდება სამშობლოს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნაწილი ან იმავე ქვეყანაში რჩება და საქმდება, ან შრომით მიგრანტად იქცევა სხვა ქვეყანაში, რომელიც არც მისი სამშობლოა და არც ის ქვეყანა, სადაც განათლება მიიღო.

უშუალოდ სასწავლო მიგრაციის მიზეზების მიმოხილვამდე აუცილებელია განიმარტოს „საერთაშორისო სტუდენტის“ ცნება, ვინაიდან სწორედ მათზეა საუბარი ქვემოთ და თავიდან უნდა ავიცილოთ ტერმინების არასწორი ან არასაკმარისი გაგება. „საერთაშორისო სტუდენტის“ განმარტება 2015 წელს მიიღო იუნესკომ, რომელიც საბოლოო ვერსიად აღიარა ევროსტატმა. განმარტების მიხედვით „ *საერთაშორისო სტუდენტი არის ფიზიკური პირი, რომელმაც გადალახა არსებული საერთაშორისო საზღვარი ორ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო აქტივობაში იმ მიმღებ ქვეყანაში, რომელიც არ არის მისი სამშობლო“* (Types of migration; international students, 2018). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ, აღნიშნულ განმარტებაში მოიაზრებიან ის სტუდენტები, რომლებმაც გადაწყვიტეს უმაღლესი განათლება სამშობლოსგან განსხვავებულ ქვეყანაში მიეღოთ, *(foreign students)* აქ ვგულისხმობთ არარეზიდენტ ვიზის მქონე, მუდმივი ბინადრობის მქონე და გაცვლითი პროგრამის სტუდენტებს,

რომლებიც სემესტრულად სწავლობენ საზღვარგარეთ *(Credit-mobile students)* (Types of migration; international students, 2018). ნაშრომი არ ეხება საქართველოში მობილობით (ხანმოკლე ვადით ან გაცვლითი პროგრამით) ჩამოსულ სტუდენტებს, ის მხოლოდ იმ კატეგორიის უცხოელ სტუდენტებზე არის ორიენტირებული, რომლებიც სრული უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, დროებით ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში.

ისევე როგორც ყველა პროცესს და მოვლენას, ასევე სტუდენტურ მიგრაციასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ემიგრაციის შედეგად გამგზავნ ქვეყანაში იზრდება მოლოდინები მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაბრუნების მიმართ. სამშობლოში სჯერათ რომ ახალგაზრდები, რომლებიც საერთაშორისოდ აღაირებული სტანდარტების მიხედვით საზღვარგარეთ მიიღებენ უმაღლეს განათლებას, დაბრუნდებიან ბევრად უფრო კომპეტენტურნი და კონკურეტუნარიანნი სწავლის დასრულების შემდეგ ვიდრე ისინი სამშბლოს დატოვებამდე იყვნენ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ თავად ის ფაქტი, რომ ამ დროს ხდება ე.წ. „ტვინების გადინება“ ვინაიდან ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი, რომელიც საერთაშრისო სტუდენტურ მიგრაციაში ებმება, სამუშაო ადგილად ირჩევს სამშობლოსგან განსხვავებულ ქვეყანას, ისევე როგორც ხშირად სასწავლო ქვეყნისგან განსხვავებულსაც.

ეჭვგარეშეა, რომ იმიგრაციის ქვეყანაში სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკაში (კომისია, 2017). საქართველოს მაგალითზეც, უცხოელი სტუდენტები ფინანსურ გზავნილს სამშობლოდან, ოჯახიდან ღებულობენ, რომელიც ცალსახად დადებითად აისახება ქვეყნის ბიუჯეტზე. მიმღები უნივერსიტეტები მუდმივად ცდილობენ განავითარონ ინფრასტრუქტურა, აამაღლონ აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმი. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სტუდენტების მუდმივი ნაკადები საგრძნობლად ზრდის ქვეყნის საერთაშორისო

ცნობადობას. ამაზე მეტყველებს წლიდან წლამდე სტუდენტების რაოდენობის ცვლილება. თავად ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ჩამოდიან იმისთვის, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება, და მიღებული განათლების საფუძველზე შეძლონ საკუთარი მომავლის უზრუნველყოფა, უდიდესი დადებითი მხარეა იმიგრაციისა.

1.2 მიგრაციის თეორიები

მიგრაციის შესწავლა არა მარტო გეოგრაფების, არამედ დემოგრაფების, ეკონომისტების, კულტუროლოგებისა და სოციოლოგების კვლევის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს. ის უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებსა და სტაბილურობაზე და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სახელმწიფოების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, როგორც დაგლას მესი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ, არ არსებობს საერთაშორისო მიგრაციის თეორია დღესაც კი, რომელიც სრულად მოიცავს მიგრაციის შესწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიდგომებსა და პერსპექტივებს (ზურაბიშვილი, 2007) . უფრო მეტიც, არსებული თეორიები „შეიქმნა უმთავრესად ერთმანეთისგან იზოლაციაში“ და „ზოგჯერ გაყოფილია დისციპლინებს შორის არსებული საზღვრებით“ (Massey, 1993) .

თეორიული მოდელების მრავალფეროვნება გვთავაზობს საერთაშორისო მიგრაციების წარმოშობის სხვადასხვა მიზეზებს. თითოეული ცდილობს ახსნას ერთი და იმავე საგანი სხვადასხვა შინაარსით, მითითებებითა და ჩარჩოებით. ის, რომ თეორიები ხსნიან მიზეზ-შედეგობრივ პროცესებს ანალიზის სხვადასხვა დონეზე, როგორიცაა ინდივიდი, ოჯახი, ერი და საერთაშორისო დონე-არ შეიძლება არსებითად შეუთავსებელი იყოს. მაგალითისთვის, ლოგიკურია ინდივიდის ქცევა მიმართული იყოს შემოსავლის გასაზრდელად მაშინ, როცა ოჯახების ქმედება

რისკის შემცირებისკენაა უმთავრესდ. ორივე ჯგუფში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ცალსახად განპირობებულია საერთაშორისო და ლოკალური ფაქტორების გავლენით (Massey, 1993).

არსებული თეორიები სხვადასხვა კუთხით განიხილავენ მიგრაციებს და ყურადღებას განსხვავებულ ასპექტებზე ამახვილებენ: მიგრაციის ნეოკლასკური ეკონომიკური თეორია თავისთავად წმინდა ეკონომიკურ მოტივებსა და შემოსავლების დონის მიხედვით ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებებზე აკეთებს აქცენტს, სოციალური კაპიტალის თეორია კი ემიგრაციული ქსელების, როგორც დამოუკიდებელი აქტორების როლს მიგრაციის პროცესში, ისე განიხილავს.

1.2.1 ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია

საერთაშორისო მიგრაციის ყველაზე ძველი და ცნობილი თეორია, ჩამოყალიბდა რათა აეხსნა შრომითი მიგრაცია ეკონომიკური განვითარების პროცესში. აღნიშნული თეორიის თანახმად, საერთაშორისო მიგრაცია, ისევე როგორც შიდა მიგრაცია გამოწვეულია გეოგრაფიული განსხვავებებით ანუ სხვაობით შრომითი რესურსების მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. როგორც წესი, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უდეს ეკონომიკური მოტივი, ვინაიდან ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს ადამიანის აწმყოსა და მომავალს. ამდენად მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადამიანები თანახმა არიან დატოვონ სამშობლო, თუკი შექმნიან ცხოვრების უკეთეს პირობებს. ქვეყნებს, კაპიტალთან შედარებით შრომითი რესურსის დიდი წილით, უჭირთ წონასწორობის შენარჩუნება ბაზარზე, მაშინ როცა ჭარბი კაპიტალისა და შრომითი რესურსის შეზღუდული რაოდენობის მქონე ქვეყნები წონასწორობას საკმაოდ კარგად და

ხანგრძლივად ინარჩუნებენ. შედეგად ვიღებთ განსხვავებას ხელფასებს შორის, რაც მოსახლეობის ნაკადს მიმართავს იმ ქვეყნებისკენ სადაც მაღალი ხელფასებია შედარებით იმ ქვეყანასთან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ *(Massey, 1993)*.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია განიხილავს შრომით მიგრაციას, როგორც მაკრო ასევე მიკრო დონეზე. ზემოთ აღნიშნული განსხვავებები ქვეყნებს შორის მუშახელის მიწოდებასა და მუშახელზე მოთხოვნასთან დაკავშირებით მიგრაციის მაკრო დონეა. სიღარიბე, უმუშევრობა, ეკონომიკური განვითარების არათანაბარი დონე, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი უბიძგებთ უმუშევრებს, ან დასაქმებულებს არასაკმარისი ხელფასებით, განვითარებულ ქვეყნებში წასასვლელად. ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, შრომითი ემიგრაცია როგორც დადებითი მოვლენა ისე წარმოგვიდგება, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება მოჭარბებული მუშახელის ოდენობის შემცირება მუშახელის ექსპორტიორ ქვეყანაში და პირიქით, მუშახელის მოთხოვნის დაკმაყოფილება მიმღებ ქვეყანაში (ზურაბიშვილი, 2007).

დღეს მთელი განვითარებადი სამყაროს შრომით ასაკში მყოფი მოსახლეობა ფაქტიურად პოტენციურ მიგრანტს წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანებისთვის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მობილობის მოტივები მეტ-ნაკლებად ერთნაირია. სწორედ ამიტომაც შეგვიძლია განვაზოგადოთ არსებული თეორიები მსოფლიოს მოსახლეობაზე. მეტიც, როგორც ავტორები რემბო და პორტესი აღნიშნავენ თავიანთ ნაშრომში, ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე, ის კი არ არის გასაკვირი რატომ მიდიან ემიგრაციაში ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნის მოქალაქეები, არამედ ის, რომ ასეთი მძიმე ეკონომიკური სურათის მიუხედავად, ემიგრაციაში მოსახლეობის ასეთი მცირე ნაწილი მიდის (Portes, 1996).

ცხადია, მხოლოდ ეკონომიკური მოტივები არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ემიგრაციის პროცესში, თუმცა ის ნამდვილად ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებლია.

მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ის მატერიალური და სოციალური რესურსი, რომელიც ემიგრანტის ხელთ არსებობს. იგივე ავტორები აღნიშნავენ, რომ როგორც წესი მიგრანტთა უმეტესობა ენერგიული, მოტივირებული, სხვებთან შედარებით განათლების მაღალი დონის მქონე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მატარებელი მოსახლეობის ნაწილია, რომელთა ამბიციაც სხვებისაზე მაღლა დგას და მათი სურვილი გაიუმჯობესონ საკუთარი პირობები, სწორედ წინარე მიზეზებით არის განპირობებული. ყველაზე დაჩაგრულები ის უღატაკესი ფენაა, რომელსაც არც სოციალური კავშირები აქვს და არც საშუალება დაიფინანსოს მოგზაურობა (ზურაბიშვილი, შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან; ემიგრაციული ქსელების განვითარება, 2007). შესაბამისად ყველაზე დაბალ ეკონომიკურ საფეხურზე მყოფ მოსახლეობას არ ხელეწიფება მიგრაცია, რომელიც თავის მხრივ სერიოზულ დანახარჯებს მოითხოვს. მიგრაციის ანალიზი ასეთ ეკონომიკურ ასპექტში მიგრაციას უკვე მიკრო დონეზე განიხილავს. ვინაიდან, ერთია მიიღო გადაწყვეტილება დატოვო სამშობლო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და მეორე მოიძიო სახსრები იმისთვის, რათა შეძლო ემიგრაციაში წასვლა, დაიფინანსო მგზავრობა, მოძებნო სამსახური, ისწავლო ენა, კულტურა და განეწყო ფსიქოლოგიურად ახალი გარემოსთვის (Massey, 1993).

ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ სწავლობს სტუდენტურ მიგრაციებს ძირითადად ემპირიული ხასიათისაა. ასეთი ლიტერატურა კიდევ ერთხელ იზიარებს მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიის ძირითად იდეას, ხელფასების დონე ნამდვილად არის სტუდენტური მიგრაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ერთის მხრივ ავტორები მაკი და მონკური (*Mac & Moncur 2001*) აღნიშნავენ, რომ რიგ ქვეყნებში არსებული მაღალი ხელფასები დადებით გავლენას ახდენს ემიგრაციის მაჩვენებელზე. ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ეს სწორედ იმ მიზეზებით არის განპირობებული რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

პოტენციურ მიგრანტებს, რომელთაც მაღალი შემოსავალი აქვთ, ხელეწიფებათ თავიანთი მგზავრობის ხარჯების დაფარვა და ასევე მათ აქვთ სხვებთან შედარებით უკეთესი შესაძლებლობები მიიღონ ხარისხიანი უმაღლესი განათლება მათ მიერვე განათლებაში ჩადებული ინვესტიციის ხარჯზე (Brezis, 2011). მეორეს მხრივ სწორედ ქვეყნებს შორის არსებული ხელფასების სხვაობები ხსნიან მიგრაციების ხასიათს. კვლევები ცხადყოფს, იმიგრანტი სტუდენტები უმეტესწილად არიან განვითარებადი ქვეყნებიდან, სადაც დაბალი ხელფასებია. მათი მთავარი მოტივაცია არის სურვილი გამოიყენონ შესაძლებლობა სამომავლოდ დასაქმდნენ იმ ქვეყანაში, სადაც მიიღებენ უმაღლეს განათლებას (Rosenzweig, 2006).

1.2.2 ახალი ეკონომიკური თეორია

სტუდენტური მიგრაციის შესწავლის პროცესში ახალი ეკონომიკური თეორია უფრო მისაღებია იმ თვალსაზრისით, რომ ის მიგრაციებს მიკრო დონეზე სწავლობს, და ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიისგან განსხვავებით, რომელიც მიგრაციის მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალურ არჩევანს განიხილავს, ახალი ეკონომიკური თეორია აქცენტს ოჯახურ სტრატეგიაზე აკეთებს (ზურაბიშვილი, 2007). ამრიგად, ინდივიდი კი არ იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას წავიდეს თუ არა ემიგრაციაში, არამედ ოჯახი წყვეტს არსებული რესურსების პირობებში როგორ წარმართოს ერთ-ერთი წევრის მომავალი. თუ პირობითად შრომითი მიგრაციის დროს ოჯახი გადაწყვეტილებას იღებს მატერიალური მდგომარეობის ძალიან მოკლე დროში გასაუმჯობესებლად, სტუდენტურ მიგრაციაში ოჯახის წევრის წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს აცნობიერებს რასაკვირველია იმას , რომ თავდაპირველად

აუცილებელია სერიოზული ეკონომიკური დანახარჯი ოჯახის მხრიდან, რომელიც სამომავლოდ მოგებად იქცევა კვლავ ოჯახისთვის. მაგრამ ეს პროცესი შრომითი მიგრაციისგან განსხვავებით დროშია გაწელილი.

აქვე უნდა დავძინოთ რომ, მიუხედავად იმისა საერთაშორისო სტუდენტები სრულწლოვანნი არიან და თითოეულს სრულიად დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ოჯახის დამოკიდებულება და სიტყვა ძალიან დიდ როლს თამაშობს. მიგრაცია ფინანსდება ოჯახის მიერ. ჩემ მიერ გამოკითხული სტუდენტებიდან ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურვილი შეიძლება იყო კიდეც ინდივიდუალური, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ცალსახად ოჯახმა მიიღო. ისინი აღნიშნავენ რომ ოჯახის წინააღდმეგობის შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ სამშობლოს დატოვებას. თუმცა ამის განზოგადებას ცალსახად ვერ მოვახდენთ, ვინაიდან ის კონკრეტულ შემთხვევაში გამოვლინდა, და არასწორი იქნება ყველა საერთაშორისო სტუდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იგივე ვარაუდი გამოვთქვათ.

1.2.3 სოციალური კაპიტალის თეორია-თეორიული მოდელი

მიგრაციების თეორიებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სოციალური, იგივე ადამიანური კაპიტალის თეორიას, რომელიც მრავალი მეცნიერის მიერ სრულიად განსხვავებულ ასპექტში იხსნება და მიკრო დონეზე ხსნის ინდივიდების მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს.

სოციალური კაპიტალის თეორია თავის არსში სემანტიკურად ერთის მხრივ აერთიანებს სოციუმს, ანუ საზოგადოებას, ადამიანებს, ინდივიდებს და მეორეს მხრივ

კაპიტალს, ანუ წარმოების ფაქტორებს, საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად. სოციალური კაპიტალის ანალიზი შესაძლებელია ორნაირად: პირველი, ეს არის ადამიანის, როგორც შრომითი რესურსის გამოყენება კლასიკური ეკონომიკური პერსპექტივიდან, ხოლო მეორე ეფუძნება დაშვებას რომ ფიზიკური კაპიტალის ინვესტიცია შეიძლება იყოს ისევე ეფექტური, როგორც სოციალური კაპიტალის- ანუ „ადამიანი როგორც შემოქმედი“ ისე აღქმა. სოციალური კაპიტალი არის ადამიანის ფიზიკური და შემეცნებით-შემოქმედებითი ბუნების ერთობა, რომელიც შეიცავს ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელიც თავის მხრივ ემყარება ბუნებასა და საკუთარ აღქმას შორის კავშირებს (KWON, 2009).

როსენი აცხადებს „სოციალური კაპიტალი არის ინვესტიცია, რომელსაც ადამიანი დებს საკუთარ თავში, რათა გაზარდოს პროდუქტიულობა“ (KWON, 2009). ადამ სმიტისთვის, რომელიც პიონერს წარმოადგენს სოციალური კაპიტალის თეორიაში „ უნარი, უნარშეზღუდულობა და შრომითი განაჩენი, განსზღვრავს ერების სიმდიდრეს“ (SMITH, 2006). ლესლისა და ბრინკმანის მიხედვით სოციალური კაპიტალის თეორია ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გამოჩნდა. 1950 იანი წლებიდან ეკონომისტები მიხვდნენ, რომ განათლებაში ინვესტიციების ჩადებაზე ორიენტირება, იმაზე სწრაფად ზრდიდა მოგებას, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური მონაცემების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. დენისონისა და შულცის კვლევებმა კი აჩვენა რომ მოგების არნახული ზრდა 36% დან 70 % მდე, ანუ ფაქტიურად გაორმაგება, ცალსახად განპირობებული იყო მხოლოდ განათლებით. შესაბამისად დაასკვნეს, რომ განათლებაში ინვესტიციების ზრდა სერიოზულ განვლენას ახდენდა მაღალკვალიფიციური შრომითი მუშახელის ჩამოყალიბებაზე (SMITH, 2006).

სოციალური კაპიტალის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანები შეგნებულად დებენ ინვესტიციას საკუთარ თავში სხვადასხვა საქმიანობის გზით. როგორც წესი ეს უმთავრესად ხდება განათლების მიღებისა და საკუთარი თავის წვრთნით, მაგრამ

ამავდროულად შესაძლოა მიმართონ მიგრაციასაც (Bowles, 2018). როგორც აღნიშნავს შულცი 1971 წელს, „ეკონომიკური ზრდა მოითხოვს სამუშაო ძალის ბევრ შიდა მიგრაციას რათა შეიცვალოს სამუშაო შესაძლებლობები“.

სოციალური კაპიტალის თეორია ხსნის, თუ როგორ ხდება, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო წარმატებულია გარკვეულ ვითარებაში იმის გამო, რომ მას შედარებით უფრო მყარი კავშირები აქვს სხვა ადამიანებთან. სოციალური ქსელების როლის შესახებ საერთაშორისო მიგრაციის პროცესში ჯერ კიდევ თომასი და ზნანეცკი წერდნენ 1918 წელს. მაგრამ მხოლოდ დაგლას მესიმ და მისმა თანაავტორებმა 1987 წელს განიხილეს ემიგრაციული ქსელები, როგორც სოციალური კაპიტალის სპეციფიკური ფორმა (ზურაბიშვილი, 2007).

დაგლას მესის განმარტებით ეს ემიგრაციული ქსელები არის „ადამიანებს შორის არსებული კავშირების კრებული, რომლითაც ერთმანეთს უკავშირდებიან არსებული მიგრანტები, ყოფილი მიგრანტები და არამიგრანტებიც მშობლიურ და მიმღებ ქვეყნებში ნათესაობის, მეგობრობისა და საერთო წარმომავლობის საშუალებით“ (Massey D. , 2014) . რასაკვირველია ძალიან ძნელია სამშობლოს ნებისმიერი მიზეზით დატოვება და უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა, მითუმეტეს მაშინ, როცა არ არის ნაცნობი, რომელსაც შეუძლია მატერიალური ან ფსიქოლოგიური დახმარება. ქსელური კავშირები სწორედ ასეთ დროს ეხმარება ადამიანებს, უადვილებთ მათ გადაწყვეტილებების მიღებასა და მის სისრულეში მოყვანას. ასეთი კავშირები მყარია, ვინაიდან ისინი ნათესაური და მეგობრული ურთიერთობების საფუძველზე ემიგრაციამდელ პერიოდში ყალიბდება. მიგრანტების პირველ ნაკადს ყველაზე რისკიანი, მოტივირებული, ენერგიული ნაწილი წარმოადგენს, რომელთაც არ ეგულებათ ასეთი კავშირები, მაგრამ მათი ახლობლები, მომავალი მიგრანტები დარწმუნებულები არიან რომ დახმარებას აღმოუჩენენ უცხო გარემოში (Bijwaard & Wang, 2013).

1.2.4 „Push“ (ბიძგისა) და „pull“ (მიზიდვის) თეორია

ნაშრომის ამ ქვეთავში ვისაუბრებ მიგრაციის გამომწვევი ფაქტორების შესახებ რომლის ავტორიც არის ცნობილი დემოგრაფი ევერეტ ლიი. აღნიშნული თეორია მიღებული და საინტერესოა სწორედ იმიტომ, რომ მაკრო დონეზე განიხილავს ზოგადად მიგრაციის ყველა იმ მაპროვოცირებელ ფაქტორს, რომელიც მას წარმოშობს. არ აქვს მნიშვნელობა პროცესს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით გავაანალიზებთ, სოციალური კაპიტალის თეორიის თუ სხვა რომელიმე თეორიის მიხედვით, ვინაიდან მიგრანტები ტოვებენ სამშობლოს რაღაც მიზეზის გამო და მიდიან სხვაგან ასევე რაიმე მიზეზის გამო. თითოეული ყურადღებას ამახვილებს იმ კონკრეტულ მიზეზებზე, რაც საბოლოოდ მიგრაციით სრულდება.

ევერეტ ლი მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებს ორ ჯგუფად ყოფს: „ბიძგისა“ (Push) და „მიზიდვის“ (Pull) ფაქტორები. ბიძგის ფაქტორებში ლი აერთიანებს იმ გარემოებებს, რომელიც არახელსაყრელია პოტენციური მიგრანტისთვის, ხოლო მიზიდვის ფაქტორებში - პოტენციური მიგრანტისთვის მიმზიდველ გარემოებებს გვთავაზობს. ლის აზრით თითოეულ ადგილს აქვს პოზიტიური და ნეგატიური მახასიათებლები, მაშინ როცა პოზიტიური ფაქტორი ადამიანს იზიდავს, ნეგატივი კი პირიქით, ხელს უწყობს ადამიანების თავიდან მოშორებას.

თეორიის თანახმად ადამიანები გადაადგილდებიან სწორედ იმიტომ, რომ სოციალურმა და ეკონომიკურმა ძალებმა ისინი აიძულეს ან იმიტომ, რომ უბრალოდ დანიშნულების ადგილებმა მიიპყრეს მათი ყურადღება. ავტორის ვარაუდით, ადამიანებს თითქმის სრულყოფილად შეუძლიათ იმ მახასიათებლებისა და ფაქტორების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია სამშობლოსთან მაშინ, როცა შეიძლება სათანადოდ დესტინაციის ადგილს ვერ აფასებდნენ (LU, 2006). ამიტომ მოლოდინები მიმღებ ქვეყნებთან დაკავშირებით ძირითადად გადაჭარბებულია,

ვინაიდან სამშობლოში არსებული მდგომარეობა, რომელიც თვალნათელია მიგრანტისთვის იმდენად გაუსაძლისი შეიძლება იყოს, ვერც წარმოიდგენდეს, რომ სხვაგან უარესი მდგომარეობა დახვდება.

მშობლიურ ქვეყანაში სამუშაო ადგილების ნაკლებობა, არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი ხელფასები, შიმშილი, ძალადობა, იძულებითი შრომა, დისკრიმინაცია, უხარისხო და საერთაშრისო სტანდარტებთან შეუსაბამო უმაღლესი განათლების მიღება და სხვა მრავალი ფაქტორი შეიძლება იყოს ბიძგის მომცემი ფაქტორები, რომელსაც უპირისპირდება ისეთი მიმზიდველი ფაქტორები, როგორიცაა დასაქმების შესაძლებლობა, უკეთესი ცხოვრების პირობები, პოლიტიკური თავისუფლება, შრომითი უსაფრთხოება, განვითარებული ჯანდაცვა, ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მიმღებ ქვეყანაში. შესაბამისად, საკმაოდ ლოგიკურია ბრძოლა უკეთესი შესაძლებლობებისთვის.

ევერეტ ლი ბიძგისა და მიმზიდველ ფაქტორებში გარდა მშობლიური და მიმღები ქვეყნის მახასიათებლების ანალიზისა ხაზს უსვამს პიროვნული ფაქტორების მნიშვნელობას, რომელიც ხელს უწყობს და განაპირობებს კიდეც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი ფაქტორების უმეტესობა მუდმივია. თუმცა თავის მხრივ ინდივიდუალური აღქმის პროცესი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ინტელექტი, ცნობიერება, კონტაქტები და სოციალური გარემო, რაც ცვლადია ასაკთან ერთად (Lee, 1966).

ჩვენი ნაშრომისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებს თუ გადავხედავთ კარგად ჩანს ის ბიძგისა და მიმზიდველი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს უცხოელ სტუდენტთა მიგრაციას საქართველოში. ერაყელი და ნიგერიელი რესპონდენტებისთვის უპირველესი მიმზიდველი ფაქტორი სიმშვიდე, პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოებაა. ინდოელისთვის განათლების მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან მათ სამშობლოში სტუდენტებისთვის

განკუთვნილი ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, სწავლა კი ძვირი, ამიტომაც ტოვებენ სამშობლოს. თუკი ერთი მხრივ, საქართველო სასურველი სივრცეა სხვა ქვეყნის სტუდენტებისთვის, ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, უმაღლესი განათლების მიღებას უცხოეთში ამჯობინებს.

1.2.5 რაციონალური არჩევანის თეორია

რაციონალური არჩევანის თეორია ყველა ზემოთ მოყვანილი თეორიასთან შედარებით მეტად საკამათოა. ჰაუგის მიხედვით მიგრაციის სოციოლოგიაში ის, რაც დამახასიათებელია რაციონალური არჩევნისთვის, არის მიგრანტის ქცევა მიკრო და მაკრო დონეზე. შელინგის თქმით მიკრო და მაკრო დონეზეც მიგრაცია მხოლოდ ინდივიდუალური გადაწყვეტილების პირდაპირი შედეგია. ერთის მხრივს თეორიაზე აბსოლუტურ გავლენას ახდენს ეკონომიკური მიდგომები, ხოლო მეორეს მხრივ ის ასევე ექცევა ქცევითი გადაწყვეტილებების მიღების ქვეშ წმინდად სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში (ALUSHI & ORDONEZ).

რაციონალური არჩევანის თეორია ფაქტიურად აანალიზებს რაციონალიზმის არსს. მოქმედი პირები მათი მიზნებისკენ ილტვიან, ასევე აღიქვამენ იმ ღირებულებებსა და საშუალებებს, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული პრიორიტეტები თავიანთი მისწრაფებების ჩამოყალიბებაში. როცა ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს დატოვოს სამშობლო და წავიდეს სხვა ქვეყანაში, გარდა იმისა რომ მას აქვს იმედი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩენისა, აუცილებელია რომ შეეძლოს რისკების შეფასება, რაციონალურად აზროვნება და ყველაფრის მიზანმიმართულად დაგეგმვა (LU, 2006). ასევე არასწორი იქნებოდა გვეთქვა რომ ყველა პოტენციური მიგრანტი ფლობს საკმარის ინფორმაციას არსებულ ალტერნატივებზე, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს სწორი გადაწყვეტილების

მიღებას. თუმცა როცა საქმე მიგრაციას ეხება ვერასდროს იქნები დარწმუნებული 100 %-ით, ამიტომაც არის რომ ჩვენ ახლა თეორიებზე ვსაუბროთ.

მიგრაციის ყველა თეორია ცდილობს ახსნას მოტივები ეკონომიკური, სოციალური თუ ინდივიდუალური კუთხით, მიკრო თუ მაკრო დონეზე, ფართო თუ ვიწრო ასპექტში. თითოეული შეგვიძლია განვაზოგადოთ მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებზე, ავხსნათ მიზეზები, შედეგები, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად რთული, კომპლექსური და ერთმანეთზე გადაჯაჭვულია, რომ პრინციპში არასწორიც კი არის ვთქვათ, რომ რომელიმე თეორია უკეთ ხსნის მიგრაციებს.

თეორიების სინთეზი ყველაზე სწორი მიდგომა იქნებოდა, ვინაიდან ადამიანებიც თავის მხრივ ურთულესი ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური არსებები არიან, მოტივები რამდენად ერთნაირიც არ უნდა იყოს, ინდივიდუალური მიდგომა, აზროვნება, რაციონალურობის აღქმა, მიზანდასახულობა, რისკიანობა და სხვა მრავალი თვისებები განსხვავებული აქვთ. ჩვენ შეიძლება ვანზოგადებდეთ თეორიებს თუმცა ისინი მაინც უნიკალურია კონკრეტული შემთხვევისთვის და განსხვავებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის.

სტუდენტურ მიგრაციას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თეორია რაღაც ასპექტში საკმაოდ კარგად აანალიზებს, თუმცა ვფიქრობ რაციონალური არჩევნის თეორია ყველაზე უკეთ უსვამს ხაზს სტუდენტის მოტივებს, რომლის მთავარი მიზანი ისეთი მომავლის შექმნაა საზღვარგარეთ მიღებული განათლებით, რომელზეც ოცნებობს. თითოეული საერთაშორისო სტუდენტის უმთავრესი სურვილი კარგი სამსახური, უზრუნველყოფილი მომავალი, უკეთეს ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობა, სიღარიბისგან თავის დაღწევა და მრავალფეროვანი შესაძლებლობებია, რომელსაც მათი ფიქრით არა სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთ მიღებული განათლებით მიაღწევენ (LU, 2006). რიგ შემთხვევაში კვლევა აჩვენებს რომ გადაწყვეტილება რაციონალურია თუნდაც იმიტომ რომ

საკუთარ ქვეყანაში განათლების მიღების გარეშე დარჩენას სხვაგან წასვლა ჯობს თუ სწავლის შესაძლებლობა არსებობს. ინდოელი სტუდენტებისთვის საქართველო და სხვა ქვეყნები სწორედ ამგვარი რაციონალური არჩევანია, გამოსავალი გაუნათლებლობისგან, შანსი სამომავლოდ დასაქმებისთვის და უკეთესი მომავლისთვის.

თავი II. საქართველო და მიგრაციები

2.1 საქართველოს მოსახლეობა და მიგრაციის ტენდენციები.

ნაშრომის მთავარი მიზანი მართალია საერთაშორისო სტუდენტური მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლაა საქართველოში, თუმცა ვფიქრობ მიგრაციის ტენდენციების მიმოხილვა ზოგად წარმოდგენას შექმნის საქართველოს, როგორც ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნის შესახებ.

საქართველოს ისტორიაში მიგრაციის როლი განსაკუთრებულია. მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობის გამო გადატანილი ომების შედეგად ნებით თუ უნებლიეთ ქვეყნის მოსახლეობა მიგრირებდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც. უახლესი ისტორია ემიგრაციის რამდენიმე ტალღას გამოყოფს: 1950 -იან წლებამდე პერიოდი, რომელიც ძირითადად პოლიტიკური რეპრესიების შედეგად იძულებითი გადასახლებებით ხასიათდებოდა; 1950-1990 წლებს შორის შუალედი, როცა მოსახლეობა უმთავრესად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში მიგრირებდა; 1990 იანი წლების მასობრივი ემიგრაცია, რომელიც ცალსახად გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, და მიმართული იყო ძირითადად რუსეთისკენ. 2000 წელს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებამ ნაკადები სხვა ქვეყნებისკენ, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპისკენ მიმართა (კომისია მ. ს., 2017).

საქართველოს აღწერებს თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ საქართველოს მოსახლეობა აღწერიდან აღწერამდე საგრძნობლად მცირდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წლის ნოემბერში

ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობამ 3 713 804 ადამიანი შეადგინა, რაც წინა აღწერის, 2002 წლისთვის მიღებულ შედეგზე 657 731 ადამიანით ნაკლებია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018). აღნიშნული მონაცემები არ იქნებოდა საგანგაშო დიდი ქვეყნისთვის, მაგრამ ისეთი პატარისთვის, როგორიც საქართველოა, ასეთი საგრძნობი სხვაობა მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ საქართველოდან მოსახლეობის სწორედ ის ნაწილი, რომელიც სამუშაო რესურსს წარმოადგენს დიდი ნაკადებით გაედინება. მიგრაციული კუთხით საქართველო ცალსახად ემიგრაციის ქვეყანა უფროა. (იხ. დიგრამა #1) თუმცა ასევე ხაზი უნდა გაესვას რომ დიაგრამაში აღნიშნული მონაცემები დათვლილია გაეროს რეკომენდებული მეთოდებით. ემიგრანტის შემთხვევაში მოიაზრება პირი, რომელმაც დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში, სულ მცირე 183 დღე იმყოფებოდა სხვა ქვეყანაში და საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ანუ წინა 12 თვიდან მინიმუმ 183 დღე მაინც ქონდა აქ გატარებული. იმიგრანტის შემთხვევაში კი პირიქით (კომისია მ. ს., 2017). აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს ემიგრაციის მზარდ ტენდენციას, რომელიც ხდება არა საქართველოს მოქალაქეების, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეების საქართველოდან გასვლის შედეგად.

არსებული მნიშვნელოვანი დანაკარგის ფონზეც კი საქართველო მაინც არის მიმზიდველი ქვეყანა რიგი ადამიანების ჯგუფისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებიც უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში და რომელთა რაოდენობაც წლიდან წლამდე, საკმაოდ სწრაფი ტემპებით იზრდება. (იხ. დიაგრამა #2) ძალიან საინტერესოა ქვეყნის ანალიზი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესში, ემიგრაციული საკითხები კიდევ უფრო მეტად მგრძნობიარეა ჩვენთვის, ვინაიდან დიდი ემიგრაციული ნაკადები გარდა

ფულადი გზავნილების შემოდინების დადებითი ასპექტისა, ძალიან დიდ სოციალურ დანაკლისს წარმოადგენს ქვეყნისთვის.

საქართველოში შემოსულ იმიგრანტთა ნაკადები საკმაოდ მრავალფეროვანია. ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან და ძირითადად წარმოადგენენ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას. იმიგრანტების რაოდენობის დათვლა სხვადასხვა მეთოდოლოგიით ხდება, თუმცა ყველაზე სანდო და გავრცელებული საყოველთაო აღწერებია. 2014 წელს საქართველოში ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით მოსახლეობის 5%-ს შეადგენდნენ იმიგრანტები, პირები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტ ხანს. მათ შორის 51.9 % მამაკაცი, ხოლო 48.1 % ქალია. 77.4 % საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს, ხოლო 22.6 % სასოფლოში. რასაკვირველია უმრავლესობა განაწალებულია დედაქალაქში 45.5 %. შემდეგ მოდის 12.9%-ით იმერეთის რეგიონი და 11 %-თ ქვემო ქართლი. ამავე აღწერის მიხედვით იმიგრანტთა 51.6 %-სთვის წინა საცხოვრებელ ქვეყანას წარმოადგენდა რუსეთის ფედერაცია, 8.3 %-სთვის საბერძნეთი, ხოლო 8.1 %-სთვის უკრაინა. (იხ. დანართი #3) (საქსტატი, 2016).

2.2 საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკა

მიგრაცია თავისი ყველა გამოვლინებით უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე, დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, შრომის ბაზარზე, გარემოზე, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და სხვა მრავალ საკითხზე. სახელმწიფოები თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ატარებენ საიმიგრაციო პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკას სახელმწიფო საზღვრების გადმომკვეთი

პირების მიმართ, განსაკუთრებით კი მათ მიმართ, ვინც აპირებს მუშაობას ან ხანგრძლივი ვიზიტით გაჩერებას ნებისმიერი მიზნობრიობით (Division, 2014). საიმიგრაციო პოლიტიკა, როგორც წესი, მიმართულია არალეგალური მიგრაციის აღკვეთისაკენ და ლეგალური მიგრაციის რეგულაციისკენ.

2010 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. ის არის მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. კომისია აერთიანებს 12 სახელწმიფო უწყებას. ესენია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადააგდილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საგარეო საქმეთა სამინისტრო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ფინანსთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარეობა ევალება შსს-ს.

კომისიაში შემავალ თითოეულ უწყებას კონკრეტული საკითხის მოგვარება ევალება. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დავალებული აქვს მიგრაციის მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ასევე მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ორგანოების მუშაობის კოორდინირება (მიგრაციის საკითები, 2018). საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს მიგრაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებს. პასუხისმგებელია საქართველოდან წასულ ემიგრანტებზე, უცხო ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობებზე და სავიზო

პოლიტიკის შემუშავებაზე (სამინისტრო, 2018). იუსტიციის სამინისტრო არეგისტრირებს უცხოელებს. პასუხისმგებელია ბინადრობის ნებართვებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემაზე (სააგენტო, 2018). შინაგან საქმეთა სამინისტრო არალეგალურ მიგრაციას ებრძვის. ის პასუხისმგებელია საზღვრების მართვასა და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაზე (სამინისტრო შ. ს., 2018). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას, შრომითი მიგრაციის საკითხების მოგვარებასთან ერთად ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა წარმოადგენს. ყველა შემავალი უწყების კომპეტენციის კოორდინირებას ახდენს სწორედ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. შექმნის დღიდან, 2010 წლიდან მოყოლებული კომისია წარმოადგენს მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მთავარ პლატფორმას, რომელსაც ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ევროკავშირის რეკომენდაციითა და მხარდაჭერით მოქმედი სამდივნო (ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი, 2017).

ქვეყანაში იმიგრანტების შემოდინებას განსაზღვრავს და არეგულირებს სწორედ საიმიგრაციო პოლიტიკა. მიგრაცია თავის მხრივ მეტად კომპლექსური მოვლენაა და სიფრთხილეს საჭიროებს. ზემოთ ჩამოვთვალეთ სხვადასხვა უწყებები, რომლებიც კონკრეტულ საკითხებს აგვარებენ, თუმცა უპირველესი და უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი, ქვეყანაში უცხოელების შემოდინებისა ცალსახად არის სავიზო პოლიტიკა, რომელიც ამავდროულად განაპირობებს გარკვეული ეროვნების იმიგრანტების სიჭარბეს, ან პირიქით მათ შეზღუდულ რაოდენობას. აქედან გამომდინარე სავიზო პოლიტიკა შეიძლება იყოს მკაცრი, ან იყოს მეტისმეტად რბილი რიგი სახელმწიფოებისთვის.

საქართველოს ვიზა დადგენილი ფორმის პირობითი ნებართვაა, რომელიც გაიცემა უცხოელის სამგზავრო დოკუმენტში ვიზის ბლანკის დატანით ან ელექტრონულად (ელექტრონული ვიზა) და ადასტურებს მის უფლებას, შემოვიდეს ან/და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გაიაროს საქართველოს ტერიტორია (კომისია მ. ს., საქართველოს ვიზის კატეგორიები და ტიპები, 2018).

უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ვიზის მიღებისთვის დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს, შეიძლება გაიცეს საქართველოს ვიზა ერთჯერადი ან მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით. ერთჯერადი მოკლევადიანი გაიცემა უცხოელის მიერ სავიზო განაცხადში მითითებული დღეების რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა, მრავალჯერადი მოკლევადიანი არაუმეტეს 5 წლის მოქმედების ვადით. ამასთანავე, უცხოელის საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა იმ უცხოელზე, რომელიც წინა წლის განმავლობაში ერთხელ მაინც იმყოფებოდა საქართველოში და აქვს მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზის მოთხოვნის საფუძველი. ასევე გვაქვს გრძელვადიანი ვიზა, რომელიც გაიცემა მრავალჯერადი შესვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1 წლის მოქმედებისა და საქართველოში ყოფნის ვადით. გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა მხოლოდ D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შემთხვევაში. *(გაიცემა პირზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე.)*

თავის მხრივ საქართველოს ვიზა იყოფა 5 კატეგორიად: A-დიპლომატიური, B-სპეციალური, C-ორდინალური, D-საიმიგრაციო, T-ტრანზიტული. თითოეული ეს

კატეგორია კი იყოფა ქვეკატეგორიად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არის საიმიგრაციო D3 ქვეკატეგორიის ვიზა- *რომელიც გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის გაზაზე სასწავლებლად ან კვლევის ჩასატარებლად მომავალ პირებზე; საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად მომავალ პირებზე;* (კომისია მ. ს., საქართველოს ვიზის კატეგორიები და ტიპები, 2018).

საქართველოს მთავრობამ, 2013 წლის 15 მარტს მიიღო #59 დადგენილება, საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ მიგრაციის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფო ლიბერალური სავიზო პოლიტიკიდან ეტაპობრივად გადადის დაბალანსებული სავიზო პოლიტიკის დანერგვაზე. რისი აუცილებლობაც განპირობებულია უკიდურესად ღია სავიზო პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი მოუწესრიგებელი იმიგრაციული პროცესებით. ამავდროულად ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, მნიშვნელოვანია მიგრაციული პროცესების სწორი და გააზრებული მართვა (მთავრობა, 2013).

აღნიშნული დადგენილება გახდა საფუძველი 2014 წლის 1 სექტემბერს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონის ძალაში შესვლისა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში შეცვლილი საიმიგრაციო წესები ამოქმედდა. ცვლილებებმა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად გაამკაცრა. საქართველოს მთავრობამ ამ ცვლილებების აუცილებლობა, ძირითადად, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის დიალოგის ფარგლებში არსებული ვალდებულებებით ახსნა.

1 სექტემბრამდე ნებისმიერი სახის ვიზით შემოსვლისას საქართველოში ყოფნის ვადა იყო 360 დღე, რომელიც აითვლებოდა პირის შემოსვლის დღიდან. იგივე ვადა ვრცელდებოდა იმ ქვეყნის მოქალაქეებზეც, რომლებსაც უვიზო

შემოსვლა შეეძლოთ. გამონაკლისის სახით განისაზღვრებოდა 90 დღიანი ვადა, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, Laissez Passer-ს მფლობელებს და ა.შ.

ახალი კანონით, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში ყოფნის ვადები. 360 დღიან ყოფნის უფლებას ცვლის ახალი ვადა – მაქსიმუმ 90 დღე 180 დღიან პერიოდში, რაც გულისხმობს ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში ქვეყანაში მაქსიმუმ 90 დღის ვადით ყოფნას (90 დღე შეიძლება იყოს როგორც უწყვეტი პერიოდი, ისე შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე დღიანი პერიოდებისგან, მაგალითად: 30+30+30) (საქართველო, 2014).

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ვიზის გაგრძელება შეუძლებელია, უცხოეთის მოქალაქე ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლამდე აიღოს ბინადრობის მოწმობა (გრძელვადიანი ვიზის ქონის შემთხვევაში) ან დატოვოს ქვეყანა. ვინაიდან ერთჯერადი, მრავაჯერადი ან თუნდაც გრძელვადიანი ვიზა თავისი არსით არ იძლევა ქვეყანაში სასურველი დროით დარჩენის საშუალებას.

ჩატარებული კვლევის შედეგად ასევე დაიდო შედეგი, რომ 30-ვე სტუდენტს, რომელიც გამოიკითხა კვლევის ფარგლებში, სერიოზული პრობლემები შეექმნათ და ექმნებათ ყოველწლიურად ბინადრობის მოწმობის ვადის გაგრძელებაზეც. ხოლო ერაყელი სტუდენტები, საერთოდაც ვერ ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში, ვინაიდან ასე გამკაცრებული სავიზო პოლიტიკის გამო, მიუხედავად იმისა რომ მათ განათლების მიღება არ დაუსრულებიათ, შესაძლოა აღარ შემოუშვან საზღვარზე. ამიტომ 10-დან არც ერთი ერაყელი სტუდენტი, ბოლო 2 წლის განმავლობაში არ დაბრუნებულა ოჯახში, და ვერც ოჯახის წევრები ჩამოდიან მათ სანახავად. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ვკითხულობთ, რომ „ საქართველოში მყოფ უცხოელს უფლება აქვს მოითხოვოს საქართველოს მოკლევადიანი დიპლომატიური და სპეციალური ვიზების (A და B

კატეგორიები), აგრეთვე D3 კატეგორიის და D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელება (დეპარტამენტი, 2018) ''. ლოგიკას არის მოკლებული სტუდენტს ვიზა გაუგრძელო იმ პირობით რომ 90 დღეზე მეტ პერიოდს ის ვერ გაატარებს ქვეყანაში 180 დღიდან. ამიტომ თითოეული სტუდენტი, საკმაოდ რთულად ახერხებს ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც უნდა განაახლოს ყოველწლიურად, და ასევე არსებობს იმის ალბათობა, რომ მათ ბინადრობის გაგრძელებაზეც კი უთხრან უარი.

თავი III. საერთაშორისო სტუდენტური მიგრაცია თბილისში

3.1 სტატისტიკა საერთაშორისო სტუდენტთა შესახებ თბილისში

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე იმიგრანტების შედარებით ახალ ჯგუფს საქართველოში წარმოადგენენ უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოსული უცხოელები, რომელთა რაოდენობაც იუნესკო-ს სტატისტიკის მონაცემებით, მსოფლიოში ბოლო 10 წლის განმავლობაში 70%-ით გაიზარდა და 2015 წლისთვის 4.5 მილიონს გადააჭარბა (კომისია მ. ს., მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი, უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017). საქართველოში ეს პროცესი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც 2005 წელს ქვეყანა ბოლონიის პროცესში, განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ჩაება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015-2016). 2005 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო სტუდენტების ნაკადები სტაბილურად იზრდება. (იხ. ცხრილი #1) ბოლონიის პროცესში ჩაბმამ საქართველოს, როგორც საგანმანათლებლო ქვეყნის ცნობადობა გაზარდა ხოლო აქ გაცემული დიპლომი აღიარებული გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ცხრილი #1: საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ იმიგრანტთა რაოდენობა, სქესისა და ჩარიცხვის წლის მიხედვით.

წელი	მამაკაცი	ქალი	სულ
2005	108	68	176
2006	120	65	185
2007	189	131	320
2008	180	141	321
2009	202	173	375
2010	290	211	501
2011	653	333	986
2012	1279	624	1903
2013	1480	597	2077
2014	1979	614	2593
სულ			9905

წყარო: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

ცხრილიდან ნათლად ჩანს რომ განათლების მისაღებად საქართველოში უფრო მეტი მამაკაცი სტუდენტი ჩამოდის, თუმცა წლიდან წლამდე ქალების რაოდენობის ზრდაც შეიმჩნევა. (ასევე იხ. დიაგრამა #4)ეს ტენდენცია იმითაც არის გამოწვეული, რომ უმეტესწილად ქვეყნები, საიდანაც აქ მოდიან განათლების მისაღებად, მეტად ტრადიციულნი არიან და ამ ქვეყნებში ქალების უფლებები ჯერ კიდევ არ არის გათანაბრებული მამაკაცის უფლებებთან.

განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015 წელს ჩაირიცხა 2743, ხოლო 2016 წელს 1523 უცხოელი სტუდენტი. დიაგრამა #4-დან ჩანს, რომ ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 2010/2011 და 2011/2012 სასწავლო წლებში, როდესაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ხოლო უცხოელი სტუდენტების ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015 წელს იყო, 2016 წელს კი სტუდენტების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას 2014 წელს მიღებული „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ "კანონის ახალი რეგულაციებით. 2016 წელს უცხოელი სტუდენტების კლება კი, სავარაუდოდ, უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო 2015 წელს ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება, რაც საბოლოო ჯამში 2016 წლის ჩარიცხვების რაოდენობაზე აისახა (კომისია მ. ს., საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017).

2004-2014 წლებში საქართველოში ჩამოსული სტუდენტების უმრავლესობა იყო აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, თურქეთიდან , ნიგერიიდან და რუსეთიდან. (იხ. დიაგრამა #5) 2016 წლის მონაცემებით კი, ჩვენს ქვეყანაში უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა, 90 % არიან აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთისა და რუსეთის მოქალაქეები. (იხ. დიაგრამა #6) წინა წლებთან შედარებით პირველი ხუთეულის სურათი შეიცვალა, სადაც მესამე ადგილი ერაყმა დაიკავა.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თანდათან იწყებენ საერთაშორისო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებას და შედეგად, სულ უფრო მეტი ქართული უნივერსიტეტი სთავაზობს უცხოელ სტუდენტებს უცხოენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს. 2014 წლისათვის 25 ქართულ უნივერსიტეტში 160 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა, 2016 წელს კი 33 ასეთი უნივერსიტეტი იყო 205 უცხოენოვანი პროგრამით, საიდანაც ნახევარზე მეტი (127) ინგლისურენოვანია (კომისია მ. ს., საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017).

ყველაზე მეტ უცხოელ სტუდენტს უკვე რამდენიმე წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობს. (იხ. დიაგრამა #7) 2018 წლის ივნისის მდგომარეობით თსსუ-ში 2023 არარეზიდენტი სწავლობს. რაოდენობის მიხედვით პირველი ხუთეული კი ასე გამოიყურება: 1263 სტუდენტი არის ინდოეთიდან, 132 შრი-ლანკადან, 127 ერაყიდან, 63 ნიგერიიდან და 38 თურქეთიდან. უნივერსიტეტში უცხოელებისთვის აქვთ, როგორც რუსულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი პროგრამებიც. ისინი მხოლოდ ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის ფარგლებში იღებენ განათლებას და არ სწავლობენ მაგისტრატურაში, დოქტორანტურასა და რეზიდენტურაში (წყარო: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან მოპოვებული წერილობითი დოკუმენტი).

ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამაა რაოდენობრივად ყველაზე მეტი 1654 სტუდენტით. მხოლოდ ამ ფაკულტეტზე 1154 ინდოელი სწავლობს. 130 სტუდენტი არის შრი-ლანკადან, 90 ერაყიდან, 63 ნიგერიიდან, 19 თურქეთიდან და დანარჩენი სხვა ქვეყნებიდან. (იხ: დიაგრამა #8)

გასაკვირი ნამდვილად არ არის რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტში მოთხოვნადი სპეციალობა მედიცინაა, თუმცა ზოგადად, საქართველოში ჩამოსულ უცხოელ სტუდენტებს შორის, სამედიცინო სფერო არის ყველაზე მეტად მოთხოვნადი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა უნივერსიტეტებს მაინც შეუძლიათ უცხოელ სტუდენტებს შესთავაზონ პროფესიათა მრავალფეროვანი არჩევანი. თუმცა ვინაიდან სტატისტიკურად თითოეულმა იცის რომ მედიცინის ფაკულტეტზე არის ყველაზე მეტი მოთხოვნა, ისინიც მედიცინის უცხოენოვან პროგრამებს ავითარებენ და ხვეწენ.

2016 წლის მონაცემებით საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების 50 % სწავლობდა მედიცინის, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკისა და სტომატოლოგიის

ფაკულტეტზე, 24 % ეუფლებოდა ბიზნესს, ეკონომიკასა და სამართალს. 17 %-მა განაგრძო სწავლა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზე, 6% ინფორმაციულ ტექნოლოგიებს სწავლობდა, ხოლო 3%-მა სრულიად სხვა სპეციალობები აირჩია (კომისია მ. ს., მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი, უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 453 უცხოელ სტუდენტს მასპინძლობს, რომელთა 66%, 299 ადამიანი სწავლობს მედიცინის ფაკულტეტზე. მათგან 59 მამაკაცი, ხოლო 240 ქალი. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უმრავლესობა ერაყელი სტუდენტიდან, რომელთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტზე 183-ია, მხოლოდ 24 სტუდენტია მამრობითი სქესის, დანარჩენები კი არიან გოგონები.

თსუ-ში ერაყელი ეროვნების წარმომადგენლები სხვა ფაკულტეტზე არ გვხვდება. მედიცინის მიმართულებაზე გვითხრეს, რომ უცხოელი სტუდენტების პირველი ნაკადიდან (40 სტუდენტი), რომელიც უნივერსიტეტმა მიიღო 2012 წელს, 38 ერაყიდან იყო. აქ ასევე სწავლობენ ინდოელებიც, თუმცა სტუდენტების 69 %, არაბული ქვეყნებიდან არის.

3.2 საერთაშორისო სტუდენტები ინდოეთიდან: კვლევა და ანალიზი

იმ საერთაშორისო სტუდენტებიდან, რომლებიც საქართველოში სწავლობენ, აირჩა სამი საკვლევი ჯგუფი, ერთ-ერთი არის ინდოელი სტუდენტები, რომელთა რაოდენობა მხოლოდ აზერბაიჯანელებს ჩამოუვარდება. კონკრეტული ჯგუფი საინტერესოა კვლევის თვალსაზრისით, ვინაიდან ინდოეთი გეოგრაფიულად შორს მდებარეობს საქართველოდან, შესაბამისად ჩნდება კითხვა: რა საშუალებებით იღებენ ინდოელი სტუდენტები ინფორმაციას საქართველოსა და აქ არსებული უნივერსიტეტების შესახებ; რატომ მოდიან სასწავლებლად კონკრეტულად ჩვენს ქვეყანაში; რა განაპირობებს მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებას და სხვა მრავალი კითხვა, რომელთაც პასუხი ჩატარებული კვლევის ფარგლებში ასე თუ ისე გაეცა.

სანამ უშუალოდ კვლევის ანალიზზე გადავალ, ვფიქრობ აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ინდოეთის გეოგრაფია და არსებული კასტები, რადგან დღესაც კი, 21-ე საუკუნეში, იქ ეს საკითხი ჯერ კიდევ აქტუალურია.

ინდოეთის რესპუბლიკა სამხრეთ აზიაში მდებარეობს. ის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე (1,281,935,911) , ხოლო ფართობის სიდიდის მიხედვით (3 287 263) მერვე ქვეყანაა მსოფლიოში (AGENCY, 2017). ადმინისტრაციულად იყოფა 28 შტატად და 7 მოკავშირე ტერიტორიად. ყავს 6 სახმელეთო მეზობელი: ბანგლადეში, ბუტანი, მიანმა, ჩინეთი, პაკისტანი და ნეპალი. მოსახლეობის 79.8% ინდუიზმის მიმდევარია, 41 % საუბრობს ჰინდიზე. 2000-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფიდან კი 72 % ინდო-არიულ რასას ეკუთვნის.

ინდოეთზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ საკითხს, როგორიცაა კასტა. რიზლი (Risley) მას განმარტავს როგორც „ოჯახებს, ან ოჯახთა ჯგუფებს, რომელთაც აქვთ ერთი სახელი; აცხადებენ რომ ყავდათ საერთო წარმოშობის მითიური წინაპარი, ადამიანი ან ღვთაება. აქვთ საერთო მემკვიდრეობა,

მიკუთვნებულობა და აქედან გამომდინარე თავს აძლევენ უფლებას საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინონ, როგორც ჰომოგენურმა საზოგადოებამ (Deshpande, 2010) ".

ინდოეთის კასტური სისტემა განიმარტება, როგორც დახურული სისტემური სტრატიფიკაცია, რომელშიც ადამიანის სოციალური სტატუსი განპირობებულია იმ კასტის შესაბამისი მახასიათებლებით, სადაც ის დაიბადა. სიტყვა კასტას ინდოეთში არც იყენებენ, მათთვის იერარქიული დაყოფა ხდება 4 ვარნად, რომელიც ასევე იყოფა ქვეკასტებად, ანუ ჯატებად. კლასიფიკაცია ხდება დასაქმების სფეროს მიხედვით და განსაზღვრავს ადამიანის სიმდიდრეს, ძალაუფლებასა და პრივილეგიას.

სისტემის წარმოშობა თავის მხრივ უკავშირდება რელიგიურ და ბიოლოგიურ საფუძვლებს. რელიგიური წარმოდგენით, უძველესი წიგნის Rig Veda-ს მიხედვით, პირველმა ადამიანმა, პურუშმა საკუთარი თავი გაინადგურა, რათა შეექმნა ადამიანთა საზოგადოება. მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან შეიქმნა ეს 4 ვარნა. ბრაჰმანები-შეიქმნენ თავიდან, კშატრიები-ხელებიდან, ვაიშიები-თეძოებიდან ხოლო შუდრები ქვედა კიდურებიდან.

ბიოლოგიური თეორიის მიხედვით ვარნა, ეს არის სხვადასვხა ფერი, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა ფსიქიკურ მდგომარეობასა და ტემპერამენტს. აღნიშნული თეორიით არსებობს სამი გიუნა: სატვა ანუ თეთრი, რაჯა ანუ წითელი და თამასი ანუ შავი. თითოეული მათგანი სხვადასხვა პროპორციითა და კომბინაციით ქმნის მსოფლიო საზოგადოებას. სატვას დამახასიათებელი არის სიბრძნე, ინტელექტი, პატიოსნება და სხვა დადებითი თვისებები. რაჯას ახასიათებს ვნება, სიამაყე და სიმამაცე. ხოლო თამასი ხასიათდება სისულელით, შემოქმედებითობის ნაკლებობითა და სხვა უარყოფითი თვისებებით (Deshpande, 2010).

ყველაზე გავრცელებული სტრატიფიკაციით ინდოელებს ზემოთ ხსენებული 4 ვარნის მიხედვით ყოფენ. ბრაჰმანები, ყველაზე ზედა საფეხურზე მყოფი ვარნის წარმომადგენლები, როგორც წესი არიან სასულიერო პირები და მეცნიერები. კშატრიები პოლიტიკური ლიდერები და სამხედროები. ვაიშიები ვაჭრები, ხოლო შუდრას მიკუთვნებულნი მუშები, მსახურები და ხელოსნები. ასევე არსებობენ ხელშეუხებელნი, ადამიანები, რომლებიც არც ერთ ვარნაში არ ხვდებიან. მათი საქმიანობის სფერო საზოგადოების წარმოდგენით არის ყველაზე დამამცირებელი. ისინი აკეთებენ ყველაზე ბინძურ საქმეს, ატყავებენ ცხოველებს. ჰინდის კანონთა წიგნში წერია, რომ ყოველთვის იყო 4 ვარნა და არასდროს 5. ამიტომ ამ ადამიანებს არც ერთ კასტას არ აკუთვნებენ და მათთან ყველანაირი კონტაქტი ფაქტიურად აკრძალულია (Deshpande, 2010).

კასტების ძირითად მახასიათებლებად ითვლება ენდოგამია (ქორწინება მხოლოდ კასტის წარმომადგენლებს შორის, უფრო ზუტად კი ქორწინება არათუ ერთსა და იმავე ვარნის წარმომადგენლებს, არამედ ერთსა და იმავე ჯატის წარმომადგენლებს შორის); მემკვიდრეობითობა (თანდაყოლილი კუთვნილება კასტისადმი და სხვა კასტაში გადასვლის პრაქტიკული შეუძლებლობა); სხვა კასტის წარმომადგენლებთან ერთად საკვების მიღების და მათთან ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა; მთელი საზოგადოების იერარქიულ წყობაში თითოეული კასტისთვის თავისი კუთვნილი ადგილის აღიარება, პროფესიების ათვისების შეზღუდვა, შიდა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში კასტების ავტონომიურობა და სხვა (Deshpande, 2010). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ინდოეთის კონსტიტუცია არ ყოფს მოსახლეობას კასტების მიხედვით. მაგრამ ისტორიული საფუძვლები, როგორც წესი თავის კვალს ტოვებენ ხოლმე. საზოგადოებაში ტრადიციები ღრმად ილექება. კასტური მიკითვნებულობა მოსახლეობის შიგნით, ჯერ კიდევ არსებობს.

რაც შეეხება კვლევას, ჩემ მიერ გამოკითხული 30 რესპონდენტიდან 10 იყო ეროვნებით ინდოელი (4 ბიჭი, 6 გოგო), რომლებიც სწავლობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ინდოელები საკვლევად შევარჩიე იმიტომ, რომ მათი მზარდი ინტერესი საქართველოს მიმართ ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ შესამჩნევი გახდა. ამავდროულად, ისინი არიან განსხვავებული გეოგრაფიული რეგიონის წარმომადგენლები. პირობითად აზერბაიჯანელებისა და სომხების შემთხვევაში კვლევის ჩატარების გარეშეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გეოგრაფიული სიახლოვე, მეზობლობა და ერთმანეთთან გადაჯაჭვული წარსული, რასაკვირველია სანდოობას ზრდის. ასეთი სტუდენტების მოტივები სხვა მრავალთან ერთად აუცილებლად იქნება ზემოთნახსენები მიზეზებით განპირობებული. სტატისტიკურ მასალას რომ ვუყურებთ და ვხედავთ რომ აზერბაიჯანელების შემდეგ ყველაზე ბევრი სტუდენტი სწორედ ინდოეთიდან არის, ბუნებრივია ძალიან საინტერესოა იმ მიზეზების აღმოჩენა, რაც მათ ნაკადებს საქართველოსკენ მომართავს.

ინტერვიუების დროს დაისვა ისეთი კითხვები, რომლებიც ორიენტირებული იყო იმიგრაციის მოტივების დადგენაზე, ინფორმაციის მიღების წყაროს გამოკვლევაზე, სტუდენტების დამოკიდებულების, მათი მოლოდინებისა და არსებული რეალობის შესწავლაზე, ფინანსური მდგომარეობისა და სწავლის დონის შეფასებაზე, სტუდენტების თვალით დანახულ საქართველოზე და განათლების სისტემაზე, კონკრეტული სპეციალობის არჩევანზე და სხვა.

გამოკითხული 10 სტუდენტიდან 6 მეოთხე კურსელი, ხოლო 4 მეორე კურსელი აღმოჩნდა. კითხვაზე თუ როგორ შეიტყვეს საქართველოს შესახებ, ანუ რა გზით მოიძიეს ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე 6-მა უპასუხა, რომ მეგობრებმა გაუწიეს რეკომენდაცია, ხოლო 4-მა თავიდანვე ინტერნეტში ნახა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, თითოეული მათგანის ერთპიროვნული სურვილი იყო ესწავლათ

საზღვარგარეთ, საბოლოო გადაწყვეტილება სასწავლო ქვეყნის შესახებ ოჯახმა ერთად მიიღო. 10-დან , ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებამდე, მხოლოდ 2 მა იცოდა, რომ საქართველო (GEORGIA) არის დამოუკიდებელი ქვეყანა და არა ამერიკის შტატი. ათიდან ათივემ დაუფიქრებლად უპასუხა, რომ მშობლების მიერ მათი საქართველოში სასწავლებლად გამოშვების უმთავრესი მიზეზი, არის ქვეყანაში არსებული მშვიდობა და უსაფრთხოება, ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისგან განსხვავებით. დავინტერესდი და ვიკითხე თუ რატომ არ წავიდნენ სამედიცინო განათლების მისაღებად რუსეთში ან უკრაინაში. აღმოჩნდა, რომ მათთვის ეს ქვეყნები არ აღიქმება უსაფრთხოდ. აქვე დაასახელეს კიდევ ერთი მიზეზი-ეს არის რბილი კლიმატი, რომელიც მათთვის განსხვავებული აღმოჩნდა მაგრამ მაინც ადვილად შეეგუენ.

ის ექვსი მეოთხეკურსელი, რომლებიც საქართველოში სავიზო პოლიტიკის გამკაცრებამდე ჩამოვიდნენ, ამბობენ, რომ მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ ვიზასთან დაკავშირებით. თავდაპირველადაც, კონკრეტულად მათ, ვიზის აღებაზე არ უზრუნიათ. ყველაფერი იმ სააგენტომ მოაგვარა, რომელმაც სტუდენტები საქართველოში ჩამოიყვანა. დანარჩენი 4-ის თქმით კი, ერთადერთი პრობლემა , რაც შეექმნათ დაგვიანებული პასუხი იყო და ბევრი დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობა. ინდოელების შემთხვევაში კიდევ უფრო მარტივად არის საქმე. მათ ხანგრძლივვადიანი ვიზები აქვთ ჩემი სხვა რესპონდენტებისგან განსხვავებით, რომელთა პრობლემებზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

ათივე გამოკითხული რესპონდენტისთვის ექიმობა ოცნების პროფესიასთან ერთად არის ინდოეთში დასაქმების მარტივი შესაძლებლობა. ქვეყანაში არსებული სოციალური სიტუაციის გამო, მათთვის ეს პროფესია მოთხოვნადად აღიქმება. ექიმი ჭირდებათ ყველგან და ყოველთვის. თუმცა, გარდა იმისა, რომ ინდოეთში სწავლა საკმაოდ ძვირია (საქართველოსთან შედარებით), ამავდროულად მოსახლეობის

დიდი რაოდენობის გამო, უნივერსიტეტებში მოხვედრის მსურველთა რაოდენობაც და შესაბამისად კონკურსიც იმდენად დიდია, რომ ჯერ კიდევ სკოლაში იღებენ გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ სასწავლებლად. თან აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ არ უწევთ არანაირი მისაღები გამოცდის ჩაბარება. ევალებათ მხოლოდ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რომელსაც განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი აღიარებს, და ამის შემდეგ თუ დეკანს ექნება სურვილი შეუძლია არაფორმალური გასაუბრება ჩაატაროს, თუ არადა სტუდენტი მიღებულია.

რასაკვირველია, ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისა არის სწორედ მიღების შედარებით გამარტივებული პროცედურა. თუმცა ინდოელი სტუდენტები დაბრუნების შემდგომ აბარებენ გამოცდას, რომლითაც სახელმწიფო მათ მიერ მიღებულ განათლებას ამოწმებს და ჩაბარების შემთხვევაში აღიარებს კიდეც. რესპონდენტების თქმით ეს გამოცდები საკმაოდ რთულია. ასევე აღნიშნავენ რომ საქართველოში სწავლების პროცესი ინდოეთთან შედარებით მარტივია რაც იმაში გამოიხატება, რომ არ გრძნობენ თავს დატვირთულად. ერთმა სტუდენტმა სწავლების დონე შეადარა უმაღლეს სკოლას (high school), თუმცა დანარჩენი 9 ადამიანი მას ნორმალურად აფასებს. სხვა შემთხვევაში, ეს რომ ასე არ იყოს მათივე თქმით აზრი დაეკარგებოდა მათ მიღებულ განათლებას.

საინტერესო იყო რესპონდენტების პასუხები კითხვაზე, თუ რა მოლოდინები აქვთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელფასის თვალსაზრისით, ანუ როგორ აფასებენ ასაღები ხელფასის მოცულობას მათთან შედარებით, ვინც განათლება მიიღო ინდოეთში ან დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში. აქვე, შეცვლის თუ არა სოციალური სტატუსის თვალსაზრისით რამეს, მათი საზღვარგარეთ მიღებული განათლება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კითხვა ფორმულირებული იყო

შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი განათლებით ადამიანი გახდეს მასზე მაღლა მდგომი ვარნის-კასტის წევრი.

აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ ინდოელები გამოცდას აბარებენ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რათა აღიარონ მათი უმაღლესი განათლება, მათ ასევე უწევთ გამოცდის ჩაბარება სამსახურში მიღებამდე. ვინაიდან მოთხოვნა ძალიან დიდია, მსურველიც ბევრია, გამოცდები კი საშუალებას იძლევა აირჩეს სხვებთან შედარებით კვალიფიციური კადრები. რაც შეეხება ხელფასის მოცულობას, მათი თქმით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს განათლებას ინდოეთში მიიღებ თუ სხვა რომელიმე ქვეყანაში, თუ სამსახურში მისაღებ გამოცდას ჩააბარებ და დაგასაქმებენ, ხელფასი იმდენი გექნება, რაც მსგავს პოზიციაზე მომუშავე ადამიანს.

კითხვამ კასტებთან დაკავშირებით, ცოტა გაურკვევლობა გამოიწვია. 10-დან 4-მა სტუდენტმა თავისუფლად ისაუბრა ინდოეთში არსებულ ვარნებზე. ამ 4-დან 3 იყო კშატრიადან, 1 ვაიშიადან. მათივე შეფასებით არც ბრაჰმანები და არც შუდრა საქართველოში არ სწავლობენ. დანარჩენი 6-დან 2 მა მითხრა, რომ თანამედროვე ინდოეთში მსგავსი სტრატიფიკაცია დიდი ხანია აღარ ხდება, და კლასობრივი დაყოფა ყველა ქვეყანაში არის, ამიტომ ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ. დარჩენილმა 4-მა კი ვარნებისგან განსხვავებით კლასიფიკაციის სრულიად განსხვავებული, უფრო მეტად ზოგადი ვერსია შემომთავაზა, რომლის მიხედვითაც ინდოეთის საზოგადოება იყოფა უმაღლესი, საშუალო, საშუალოზე დაბალ და დაბალ კლასებად (upper, middle, backwards & other backwards), და ისინი წარმოადგნენ საშუალო კლასს. მათ მართალია არ შეუძლიათ კასტის, ან კლასის ცვლილება, თუმცა 10-ვე რესპონდენტის თქმით სამსახურში, კონკრეტულ შემთხვევაში კი ექიმის სპეციალობაზე მთავარი მნიშნველობა აქვს არა რომელიმე ვარნის წევრობას, არამედ გამოცდაში მიღებულ ქულას. და აქვე, მხოლოდ ერთმა რესპონტდენტმა აღნიშნა, რომ რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს,გამოცდაში ერთნაირი ქულების მიღების

შემთხვევაშიც კი, როცა ერთმანეთის კონკურენტი, პირობითად არის ბრაჰმანი და შუდრა, დაასაქმებენ უკანასკელს, ვინაიდან მას ეკონომიკურად უჭირს, და მისთვის სამსახური უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბრაჰმანისათვის.

ინდოეთის უნივერსიტეტებში სწავლა საშუალოდ 15 000$ ღირს წელიწადში, მაშინ როცა თსსუ-ში ეს სტუდენტები წლიურად 6500 $-ს იხდიან. ასევე უნდა აღინიშნოს რომ, წინა წლებთან შედარებით სწავლის საფასური გაზრდილია და კიდევ იგეგმება რომ გაიზარდოს. უნივერსიტეტში გვითხრეს რომ მომავალი წლისთვის შესაძლოა მიაღწიოს 8000 $-ს. თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა რესპონდენტისთვის სწავლის ეს ღირებულება იაფია და შესაბამისად მისაღებიც არის მათთვის. ცხოვრება ცოტა უფრო ძვირია. მიუხედავად ამისა 10-ვე სტუდენტისთვის ფასები მაინც მისაღებია. თითოეული საშუალოდ თვეში ხარჯავს 400-500 $-მდე. ამ ხარჯებში შედის ბინის ქირა, გართობა, სწავლა, კვება, დასვენება, საყიდლები და ყოველდღიური ხარჯი.

10-დან 8 სტუდენტი თვეში ერთხელ იღებს ოჯახიდან გზავნილებს ბანკის საშუალებით. ინდოელებისთვის თანხის აღება, ან ბანკში ანგარიშის გახსნა პრობლემას არ წარმოადგენს. დანარჩენი 2-დან ერთს მთელი წლის ბინის ქირა და კვების საფასური წინასწარ ქონდა გადახდილი, და თანხით დახმარებას ყოველ სამ თვეში ერთხელ საჭიროებდა. დარჩენილ 1 რესპონდენტს კი ორ კვირაში ერთხელ უგზავნიდნენ თანხას პირადი მოხმარებისთვის.

აღმოჩნდა რომ ინდოელ სტუდენტებში, და არა მარტო ინდოელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს დასასვენებელი კურორტები, როგორიცაა ბაკურიანი. 10დან 10 ვე რესპონდენტმა დაასახელა ბაკურიანი, როგორც ერთ-ერთი საყვარელი მონახულებადი ადგილი, 5 ნამყოფი იყო ასევე ბათუმში. ქალაქგარეთ იშვიათად გადიან, მიუხედავად იმისა, რომ ყავთ პირადი ავტომობილები. უცხოელები, განსაკუთრებით კი ინდოელები, დიდი რაოდენობით ჯგუფებად ცხოვრობენ,

საშუალოდ 4 ან 5 მეგობარი ქირაობს ერთ ბინას და ძირითადად ერთად გადაადგილდებიან ქალაქში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ არც-ერთ მათგანს თავი არ უგრძვნია დისკრიმინაციის მსხვერპლად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა, ენის ბარიერის არსებობის გამო, ძალიან უჭირთ. თითქმის არ აქვთ კონტაქტი ქართველებთან, არ ყავთ ქართველი მეგობრები. მათივე თქმით ეს გამოწვეულია იმით, რომ ლექციებზე მხოლოდ უცხოელები სხედან, და ქართველებთან აქტიური შეხება არ უწევთ. ასევე დადებითად ახასიათებენ ლექტორების დამოკიდებულებას. პროფესიული თვალსაზრისით ყველა კმაყოფილია ლექტორებით, თუმცა 10-დან 2-მა სტუდენტმა აღნიშნა, რომ საშუალოდ 10-დან 1 ლექტორს მაინც ინგლისური ენის პრობლემა აქვს, სხვებთან შედარებით, მაგრამ ადამიანური თვალსაზრისითა და დამოკიდებულებით კმაყოფილნი არიან.

საბოლოოდ ათივესთვის საქართველო ძვირფასი ქვეყანა გახდა. მათ მოსწონთ გარემო სადაც ცხოვრობენ, ხალხი ვისთანაც ურთიერთობა აქვთ. დასაქმებაზეც იფიქრებდნენ ენის ბარიები რომ არ არსებობდეს. სასწავლო ვიზაც არ იძლევა მუშაობის საშუალებას, საჭიროებაც არ აქვთ, მაგრამ შესაძლებლობა რომ არსებობდეს გამოიყენებდნენ. 10-დან 7 სწავლის დასრულებისთანავე აპირებს ინდოეთში დაბრუნებას და მუშაობას. დანარჩენი სამის სურვილი კი ევროპაში სწავლის გაგრძელებაა. კითხვაზე სამომავლოდ რის გამოსწორებას ისურვებდით აქ მომავალი სტუდენტებისთვის პასუხი იყო ერთმნიშვნელოვანი- უკეთესი სასწავლო ინფრასტრუქტურა და მეტი პრაქტიკები.

3.3 საერთაშორისო სტუდენტები ერაყიდან: კვლევა და ანალიზი

ერაყი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარეობს. მოსახლეობა 39 192 111 კაცია, ხოლო ფართობი 438 317 კვ.კმ-ს შეადგენს (AGENCY, The world Factbook, Iraq, 2017). ყავს 6 სახმელეთო მეზობელი: ირანი, საუდის არაბეთი, იორდანია, ქუვეითი, სირია და თურქეთი. მოსახლეობის 75% ეთნიკურად არაბია, 20 % ქურთი, ხოლო 5%-ს სხვა ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ. აბსოლუტური უმრავლესობა 98 % მუსლიმია, რომელთა 69 % შიიტები, ხოლო 31 % სუნიტები წარმოადგენენ (AGENCY, The world Factbook, Iraq, 2017).

ქვეყანა პოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონში მდებარეობს. დღესაც კი საომარი მდგომარეობაა, მუდმივი არეულობები, ტერორიზმის საფრთხე. მშვიდობიანი მოსახლეობა თავს დაცულად არ გრძნობს. რეგიონიდან ძალიან ბევრი ადამიანი მიდის სხვა ქვეყანაში ემიგრაციაში, რათა თავშესაფარი ითხოვოს. საქართველოში ერაყელები თავშესაფრისთვის არ ჩამოდიან, თუმცა უკანასკნელ წლებში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ ქვეყნიდან სტუდენტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა.

ერაყელი სტუდენტები რესპონდენტებად შევარჩიე იმ მიზეზით, რადგან ეს ქვეყანა საქართველოსთან ახლოს, მეტად პრობლემურ რეგიონში მდებარეობს. ასევე საინტერესო არის ანალიზის თვალსაზრისით, თუ რა განსხვავებული მოტივები ამოძრავებთ საერთაშორისო მიგრაციაში ჩაბმის მსურველ სტუდენტებს განსხვავებული რეგიონებიდან, სასწავლო ქვეყნად აირჩიონ ერთი და იგივე სახელმწიფო, კონკრეტულ შემთხვევაში კი საქართველო. სწორედ იგივე მოტივით შეირჩა ნიგერიელი სტუდენტებიც, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებ. ახლა კი მოკლედ მიმოვიხილავ ერაყელ რესპონდენტებთან ინტერვიუებს.

ის ერაყელი სტუდენტები, რომლებთანაც ინტერვიუ ჩატარდა სწავლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე. 10 ერაყელი სტუდენტიდან 8 ბიჭი, ხოლო 2 გოგო გამოიკითხა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული მონაცემებით თსუ-ში ერაყელი სტუდენტებიდან პროცენტულად გოგოები უფრო მეტნი არიან, რესპონდენტები შეირჩა თოვლის გუნდის პრინციპით და აღმოჩნდა რომ ბიჭები მეტად კომუნიკაბელურნი იყვნენ და ძალიან თავისუფლად პასუხობდნენ კითხვებს.

ინდოელებისგან განსხვავებით, რომელთაც საქართველოზე ინფორმაცია ჰქონდათ მეგობრებისგან და ინტერნეტიდან, 10-დან 7 მა ერაყელმა თქვა, რომ ქვეყანა მშობლებმა შეურჩიეს. მათი ოჯახის რომელიღაც წევრი, ადრე ნამყოფი იყო საქართველოში, ახასიათებდნენ ამ ქვეყანას, როგორც ძალიან მშვიდს და უსაფრთხოს, შესაბამისად ოჯახმა თვითონ გამოთქვა სურვილი შვილი კონკრეტულად საქართველოში გამოეშვათ სასწავლებლად. დანარჩენი სამი, კი უბრალოდ რეგიონის ახლოს ეძებდა უნივერსიტეტს, ელექტრონულ გვერდებზე ნახეს რომ თსუ-ს მაღალი შეფასება ჰქონდა და ოჯახთან შეთანხმებით შეარჩიეს მიმართულება.

ერაყელი რესპონდენტები განსაკუთრებულად მტკივნეულ საკითხად აღიქვამენ სავიზო პოლიტიკას, ვინაიდან რეგულაციები მათთვის ძალიან გამკაცრებულია. შერჩეული 10 ადამიანიდან 6 მეხუთე კურსელი, ხოლო 4 მეოთხე კურსელი იყო. ბოლო რამდენიმე წელია ერაყელი სტუდენტების ნაკადები, სწორედ ამ გამკაცრებული სავიზო რეჟიმის გამო საგრძნობლად შემცირებულია. ჩემი ყველა ერაყელი რესპონდენტი იმ პერიოდში ჩამოვიდა საქართველოში სასწავლებლად, როცა ვიზა საერთოდ არ ჭირდებოდათ საზღვრის გადმოსაკვეთად, ახლა კი ოჯახის სანახავად ვერ ბრუნდებიან, ვინაიდან მათი მეგობრები, რომლებიც სამშობლოში ხანმოკლე ვიზიტით, არდადეგებზე წავიდნენ, ქვეყანაში დაბრუნებას ვერ ახერხებენ და დიპლომის გარეშე რჩებიან.

ერაყის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ინდოეთისგან განსხვავებით სწავლა სრულიად უფასოა, თუმცა მოხვედრა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. სირთულე მდგომარეობს შემდეგში: იმისთვის რომ სტუდენტმა შეძლოს უნივერსიტეტში მოხვედრა, სკოლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად უნდა ჩააბაროს გამოცდა. გამოცდაში მიღებული ქულა განსაზღვრავს იმ სპეციალობას, რომლის დაუფლებასაც შეძლებს მომავალში. იმისთვის რომ ერაყში მედიცინის ფაკულტეტზე გააგრძელონ სწავლა ამ გამოცდაში 98, 99 ან 100 ქულა უნდა მიიღონ. ფაქტიურად იმ მოსწავლეებს, რომელთაც ასე მაღალი შედეგის დადება არ შეუძლიათ ყველანაირი გზა ეჭრებათ სასურველი სპეციალობის დაუფლებისა, გარდა ერთისა, წავიდნენ საზღვარგარეთ და ისწავლონ სასურველ ფაკულტეტზე.

10-დან 7-მა სტუდენტმა თქვა, გამოცდის ქულის მიხედვით რომ შეძლებოდა სწავლის ერაყში გაგრძელება დაუფიქრებლად გააგრძელებდა, მაგრამ არც-ერთ მათგანს ქულა არ ეყო. თუმცა, გამოცდამდეც, არსებული განათლების სისტემის გამო, თითოეული აქტიურად ეძებდა ქვეყანას, სადაც შეძლებდა უნივერსიტეტში სწავლას. 10 დან 3-მა, აღნიშნა რომ ქულების მიხედვით, დაწესებული ზღვარი, რომც გადაელახა, ქვეყანაში დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გამო არ დარჩებოდა. 10-დან 5 ფიქრობს, რომ სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდება ქვეყანაში. დანარჩენი 5 კი იმედოვნებს, რომ შეძლებს ევროპაში წასვლას და დასაქმებას.

ინდოელი სტუდენტების მსგავსად, ერაყელებმაც უნდა ჩააბარონ საკვალიფიკაციო გამოცდა ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, რომლის საფუძელზეც უნდა აღიარონ მათი დიპლომები. თუმცა, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ გვითხრა, რომ თვითონ ერაყმაც შეცვალა დიპლომების აღიარების პრინციპი. იქ აღარ ცნობენ რიგი ქვეყნების მიერ გაცემულ დიპლომებს, როგორიცაა მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა, საქართველო. ეს იყო პასუხი გამკაცრებულ საიმიგრაციო პოლიტიკაზე. აღნიშნული ცალსახად არ ეხება იმ სტუდენტებს,

რომლებიც უკვე სწავლობენ ამ ქვეყნებში. შესაბამისად მათი დიპლომების აღიარება, არ აღიარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ ნამდვილად არ დგას.

10-ვე ერაყელი რესპონდენტი დედაქალაქიდან, ბაღდადიდან იყო. ქვეყანა ზოგადადაც მდიდარია, იმ ბუნებრივი რესურსების წყალობით, რომელთაც იქ მოიპოვებენ. თუმცა ფაქტია, რომ დედაქალაქში მცხოვრებთათვის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან ერთად, განათლების მიღების სურვილიც მნიშვნელოვანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა რომ ერაყი რელიგიური თვალსაზრისით ისლამური სახელმწიფოა და ისლამში ქალთა უფლებები მამაკაცისაზე დაბლა დგას, განათლების მიღებაზე უარს მათ არ ეუბნებიან. 10-დან 8 ბიჭმა აღნიშნა, რომ მათი ოჯახიდან ყველა გოგო იღებს განათლებას. მათი თქმით ერაყშიც კი, პროცენტულად, უმაღლეს სასწავლებლებში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს. მაგრამ იქაც, ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ყველაფერი დამოკიდებულია ოჯახზე. განათლებული ოჯახები, მოწადინებულნი არიან რომ გოგოებმაც და ბიჭებმაც უმაღლესი განათლება ერთნაირ პირობებში, განსხვავებების გარეშე მიიღონ. ხოლო ოჯახები, რომლებიც უფრო მეტად ტრადიციულნი არიან, და უმაღლესი განათლება თავადაც არ მიუღიათ, ამ საკითხს პესიმისტურად უყურებენ.

აღნიშნულ სტუდენტებს ბოლო ორი წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გარდა, არ უნახავთ თავიანთი ოჯახის წევრები, ვერც ისინი ჩამოდიან საქართველოში ვიზის არ ქონის გამო , და ვერც ესენი ბრუნდებიან სამშობლოში. თუმცა ყოველთვიურად იღებენ ფულად გზავნილებს ოჯახებიდან. ინდოელებისგან განსხვავებით ერაყელებს და ნიგერიელებს საბანკო სფეროშიც მაღალი რისკის ქვეყნების მოქალაქეებად აღიქვამენ, და სანამ უშუალოდ მისცემენ გამოგზავნილ თანხას, ხშირად კითხვარების შევსება და ზეპირ კითხვებზე პასუხების გაცემაც უწევთ.

ერაყელები, ინდოელებისგან განსხვავებით საშუალოდ 100-200 $-ით მეტს ხარჯავენ. ვინაიდან ერთ სახლს მაქსიმუმ ორი მეგობარი ქირაობს და შესაბამისად თითოეულს მეტის გადახდაც უწევს. არ არიან პრეტენზიულნი საკვების მიმართ, მოსწონთ ქართული კერძები და თვლიან რომ ქართველები ყველაზე მეგობრული და სტუმართმოყვარე ერია. ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ გამართულად საუბრობენ ქართულად, რაც კიდევ უფრო მეტად უადვილებთ კომუნიკაციას ადამიანებთან.

ერაყთან შედარებით მათთვის საქართველოში სწავლა ძვირია, თუმცა ცხოვრება იაფი. 10-დან 8 საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს ქალაქში გადასაადგილებლად, ხოლო 2-ს საკუთარი ავტომობილი ყავს. მათ შორისაც მეტად პოპულარულია ბაკურიანი. ამავდროულად გამოკითხულთა 50% ნამყოფია ქუთაისში, ბათუმში, მესტიასა და სიღნაღში. დროის სიმწირის მიუხედავად, ერაყელი სტუდენტები უფრო მეტს მოგზაურობენ საქართველოში, ვიდრე ინდოელები.

ათიდან ცხრა თვლის, რომ განათლება, რომელსაც აქ იღებენ საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოდის, და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კარგი ანაზღაურებით დასაქმდებიან. ასევე კმაყოფილნი არიან აკადემიური პერსონალის განათლებითა და მათდამი დამოკიდებულებით. ყველა აღნიშნავს, რომ ინგლისურის დონე არ შეესაბამება მათ მოლოდინებს, თუმცა ნორმალურია (OK).

თსუ-ში ინგლისურენოვანი პროგრამა თსსუ-სგან განსხვავებით 4500 $ღირს წლიურად, რომელიც მომავალი წლიდან 5000 $ გახდება. ერაყელი რესპონდენტებიც ინდოელების მსგავსად იმედოვნებენ რომ სამომავლოდ სასწავლო ინფრასტრუქტურა და პრაქტიკები სწავლის საფასურის შესაბამისი იქნება.

3.4 საერთაშორისო სტუდენტები ნიგერიიდან: კვლევა და ანალიზი

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა მდებარეობს დასავლეთ აფრიკაში, გვინეის ყურეში. ესაზღვრება ბენინი, კამერუნი, ჩადი და ნიგერი. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა 190 632 261 ადამიანით. ხოლო ფართობით 923 768 კვ.კმ-ს იკავებს. ქვეყანაში 250 ეთნიკური ჯგუფია. მოსახლეობის 50 % მუსლიმი, 40% ქრისტიანი ხოლო 10 % მკვიდრი რელიგიის მიმდევარია (AGENCY, The World Factbook; Nigeria, 2017).

კვლევისთვის შერჩეული 10 ნიგერიელი სტუდენტიდან 6 გოგო და 4 ბიჭი გამოიკითხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. 10-დან 3-მა წელს დაამთავრა სასწავლო პროგრამა, 5 მეოთხე კურსზე, ხოლო 2 მესამე კურსზე სწავლობს.

გამოკითხული ნიგერიელების 100%-მა საქართველოზე ინფორმაცია ინტერნეტით ნახა, როცა ელექტრონულ გვერდებზე უსაფრთხო ქვეყნების ჩამონათვალს ეძებდა, სადაც ამავდროულად შეიძლებოდა უმაღლესი განათლების მიღება. მათთვის ვინც უნივერსიტეტი წელს დაამთავრა, სავიზო პოლიტიკის ცვლილებას სერიოზული პრობლემები არ შეუქმნია, მათგან განსხვავებით ვინც ჯერ კიდევ სწავლობს. აღმოჩნდა, რომ ნიგერიაში არც საქართველოს საელჩო არსებობს და არც საკონსულო. ყველა მსურველს, რომელსაც საქართველოში წამოსვლა უნდა, უწევს ჯერ ეთიოპიაში ან სამხრეთ აფრიკაში გადასვლა, და იქ ვიზის აღება. შემდეგ ბრუნდებიან კვლავ ნიგერიაში და გამომგზავრებამდე ისევ იგივე პროცესის გავლა უხდებათ, რაც ფინანსებთან ერთად სერიოზული დროის დანაკარგს წარმოადგენს. ვიზის აღების შემდეგ პრობლემები ექმნებათ უშუალოდ ქვეყანაში შემოსვლაზე. 10-დან 4 სტუდენტს თავდაპირველად უარი უთხრეს ბინადრობის მოწმობის გაცემაზე, თუმცა გარკვეული პროცესის გავლის შემდეგ მოთხოვნა დაუკმაყოფილეს.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ინდოელებისგან და ერაყელებისგან განსხვავებით, ნიგერიელები გადაწყვეტილებების მიღებაში უფრო დამოუკიდებელნი არიან. რა თქმა უნდა მათაც, ისევე როგორც დანარჩენებს, ოჯახი აფინანსებს, მაგრამ სასწავლო ქვეყანა დამოუკიდებლად შეარჩიეს. კითხვაზე, რომ სცოდნოდათ ასეთი მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის შესახებ, მაინც ჩამოვიდოდნენ თუ არა საქართველოში, 10-დან რვამ უპასუხა -დიახ , ვინაიდან უპირველესი ინდიკატორი, რომლითაც ქვეყანა შეარჩიეს იყო უსაფრთხოება და რბილი კლიმატი.

ნიგერიელებს, ათიდან ათივეს, სხვა გამოკითხული რესპონდენტებისგან განსხვავებით ერთხელ მაინც უგრძვნიათ თავი დისკრიმინაციის მხვერპლად, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს მაინც დადებით კონტექსტში მოიაზრებენ და თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ.

რესპონდენტების თქმით მათ სამშობლოში სწავლა ძვირი არ არის, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ ცდილობენ უმაღლესი განათლება საზღვრებს გარეთ მიიღონ. სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა წელიწადში 150-200 $ ჯდება, მაშინ როცა კერძო უნივერსიტეტში 2500-3000 $ უნდა გადაიხადონ. აქ კი 4500-6000 $-მდე იხდიან. 10 დან 6 -ს ევროპაში სურდა სასწავლებლად წასვლა, თუმცა ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე აარჩიეს ისეთი ქვეყანა სადაც სწავლის დაფინანსებას შეძლებდნენ.

ნიგერიელი სტუდენტები, ისევე როგორც ერაყელები, ვერ ახერხებენ ოჯახის წევრების მონახულებას, და ვერც ოჯახები ჩამოდიან მათთან სტუმრად. თუმცა სისტემატურად იღებენ ფულად გზავნილებს. სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გვითხრა, რომ უნივერსიტეტი ძალიან ეხმარებოდა ნიგერიელ სტუდენტებს. როცა გამკაცრდა პოლიტიკა და ისინი ფულადი გზავნილების მიღებასაც კი ვერ ახერხებდნენ, უნივერსიტეტმა მათ წლიური გადასახადი

რამდენიმე ნაწილად გაუყო, ყველანაირად შეუწყეს ხელი, რომ სწავლაში არ შეფერხებულიყვნენ და განათლების მიღება დაესრულებინათ.

ბაკურიანი მეტად პოპულარული კურორტი აღმოჩნდა ნიგერიელებს შორისაც. მათი უმეტესობა ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილდება, თუმცა ხშირად ფეხით სიარული ურჩევნიათ, საზოგადოების გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად. ათივე კმაყოფილია ლექტორების დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმით, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით სტუდენტის უკმაყოფილებას, აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ფლობის დონესთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც ყველა მათგანი აღნიშნავს რომ ინფორმაცია, რომელსაც ისმენენ აღქმადი და გასაგებია.

ათიდან არც-ერთს სურს სამშობლოში დაბრუნება. მათი სურვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლა და იქ სწავლის გაგრძელებაა. მედიციკოსის პროფესიის არჩევა გარდა პირადი ინტერესისა, მისი მოთხოვნადი ხასიათის გამო გადაწყვიტეს,რომელიც პოპულარულია არა მარტო ნიგერიაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. 10 დან 4-მა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა ექიმობა, რათა ხალხს დახმარებოდ. სამომავლოდ სურთ თავიანთი ცოდნა სამშობლოსა და ეკონომიკურად გაჭირვებულ აფრიკას მოახმარონ, მაგრამ ამ ეტაპზე საზღვარგარეთ საოცნებო სამსახურის შოვნაზე არიან ორიენტირებულნი.

ნიგერიაში არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა ქალებისთვის განათლების მიღებასთან დაკავშირებით. ისინი თავისუფლები არიან არჩევანში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც.

რესპონდენტების თქმით, მომავალში სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში ასაღები ხელფასის მოცულობა იმაზე მაღალი იქნება, ვიდრე მათ აქვს, ვინც განათლება ნიგერიაში მიიღო. ცალსახად, ისევე როგორც ინდოელ და ერაყელ

სტუდენტებს, ასევე ნიგერიელებსაც უწევთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოცდის ჩაბარება. ეს სტანდარტული პროცესია ყველა იმ სტუდენტისთვის, რომელიც განათლებას საზღვარგარეთ იღებს.

უნივერსიტეტში მოსახვედრად, სხვების მგსავსად არც მათ ჩაუბარებიათ პროფესიული გამოცდა. მხოლოდ ის დოკუმენტები წარმოადგინეს, რომელიც ამტკიცებდა მათი მიღებული განათლების შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს კი დამატებით ქონდათ არაფორმალური გასაუბრება დეკანთან და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდა.

ნიგერიელი რესპონდენტებიც, ინტერვიუს დასასრულს ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველო ძალიან მოსწონთ. უმრავლესობა მეგობრული, კეთილგანწყობილია მათ მიმართ. თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. მაშინ, როცა თსსუ-ის სტუდენტები სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ისურვებდნენ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების სტუდენტებს ეს პრობლემა არ აქვთ. მათ მოსწონთ სასწავლო გარემო, მაგრამ აკლიათ პრაქტიკები, რომელსაც კლინიკებში გადიან, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლება ნამდვილად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე, სხვადასხვა მიგრაციული თეორიების, არსებული სტატისტიკური მასალისა და ჩატარებული თვისობრივი კვლევის საფუძველზე, ამეხსნა ის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, რომლებიც განაპირობებენ სამი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. უმთავრესი იყო დაგვედგინა სწორედ ის განსხვავებული თუ საერთო მოტივები, რომელიც საფუძვლად უდევს სამი განსხვავებული რეგიონიდან, ადამიანთა ერთი ასაკობრივი ჯგუფის ერთი ქვეყნის მიმართულებით ემიგრაციას.

ნაშრომში გამოყენებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველო ზოგადი მიგრაციული ტენდენციით, შესაძლოა ემიგრაციის ქვეყანაა, თუმცა იმიგრაციული პროცესების გააქტიურება, კერძოდ საერთაშორისო სასწავლო იმიგრაციის ნაკადების მუდმივი ზრდა, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის, როგორც მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერის, ცნობადობის ამაღლებას მსოფლიოს რიგ ქვეყნებში. ნაკადების სტაბილური ზრდა ჯერ კიდევ შეინიშნება, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო გაზრდის უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების მსურველთა რაოდენობას.

თუმცა ნაშრომში, ზრდის ტენდენციასთან ერთად დავინახეთ ის საფრთხეები, რომელიც შესაძლოა ხისტი საიმიგრაციო პოლიტიკის გატარებამ გამოიწვიოს. 2014 წლის 1 სექტემბერს შესული საიმიგრაციო რეგულაციები შესაძლოა ჯერ კიდევ არ ეტყობა მიგრაციის ნაკადებს, თუმცა ეს რეალურად ნამდვილად არ ნიშნავს რომ, რომელიმე ქვეყნიდან იმიგრანტების რაოდენობა არ შეცვლილა. ისეთი ქვეყნებიდან, რომელთაც სავიზო პოლიტიკა მკაცრად შეეხო და საზღვრის გადაკვეთაში პრობლემები წარმოშვა, შემცირებულ ნაკადებს აბალანსებს სხვა ქვეყნებიდან

შემოსულ სტუდენტა რაოდენობა. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა სტატისიკური მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ დღეის მდგომარეობით უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში კონკრეტული რაოდენობის სტუდენტი სწავლობს, ეს რაოდენობა იმათ ხარჯზე ნარჩუნდება ვისაც ჯერ კიდევ არ დაუსრულებია სწავლა.

სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილი კვლევით შევეცადე გამერკვია, რომელი ინფორმაციული საშუალებებით იღებენ სტუდენტები ინფორმაციას საქართველოს შესახებ, რატომ ჩამოდიან ჩვენთან ძირითადად მედიცინის შესასწავლად, რა მოცულობის ფულად დახმარებას ღებულობენ ოჯახებიდან, რამდენს ხარჯავენ თვის განმავლობაში ყოველდღიურ წვრილმანებზე და რამდენს იხდიან განათლების მისაღებად. რა მოლოდინები აქვთ სამომავლოდ; რას ფიქრობენ აქ მიღებული განათლების ხარისხზე, ლექტორებსა და მოსახლეობაზე. და რაც მთავარია უმნიშვნელოვანესი კითხვა, რომელიც ჩვენი ჩატარებული კვლევის გასაღებია იყო, თუ რა მიზეზის გამო გადაწყვიტეს რესპონდენტებმა განათლების მიღება საზღვარგარეთ და კონკრეტულად რა მოტივით აირჩიეს დანიშნულების ქვეყნად საქართველო.

შესავალში გამოთქმული იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ განსხვავებული გეოგრაფიული რეგიონის წარმომადგენლები, განსხვავებული სოციალური და ეთნიკური ჯგუფები, გარკვეულწილად განსხვავებული მიზეზებით მიგრირებენ. კვლევამ დაამტკიცა რომ მიგრაციული მოტივები, უმეტესწილად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებით არის განპირობებული. ემიგრაციის ქვეყნისთვის ეს ასპექტები მიგრანტების მიერ უარყოფითად ფასდება, ხოლო იმიგრაციის ქვეყანაში აღნიშნული ასპექტების შეფასება დადებით კონტექსტში ხდება. მაშინ, როცა ერაყელისთვის, მისი საცხოვრებელი რეგიონის პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველო უპირველესად აღიქმება მშვიდ,

უსაფრთხო ქვეყნად, რომელიც პოლიტიკურად არასტაბილური რეგიონიდან წასვლის საშუალებას იძლევა, ნიგერიელისთვის უპირველესი მოტივი უბრალოდ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული განათლების მიღებაა, ხოლო ინდოელისთვის, საშუალება არ დარჩეს უმაღლესი განათლების მიღების გარეშე, ვინაიდან საკუთარ ქვეყანაში, სწავლის საფასურის სიძვირის გამო ისევე, როგორც არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო, თუმცა ეს მოტივი უფრო მეორეხარისხოვანია, ის ვერ შეძლებს სამშობლოში უმაღლესი განათლების მიღებას. რაც სამომავლოდ დაბალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის მიზეზი, ან სულაც უმუშევრობის მიზეზი გახდება.

დასკვნის დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად გამოკითხული სტუდენტები ეროვნების მიუხედავად კმაყოფილნი არიან საქართველოში მიღებული განათლებით, ლექტორებისა და მოსახლეობის დამოკიდებულებით, რაც აუცილებლად მისცემს ბიძგს სამომავლოდ სასწავლო იმიგრაციის ზრდის ტენდენციას თუ არა, არსებული ნაკადების მუდმივობის შენარჩუნებას მაინც. თითოეული სტუდენტი სამშობლოში, ან სხვა ქვეყანაში საერთაშორისოდ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებული დოკუმენტით, დიპლომით გაემგზავრება და მიღებულ ცოდნას აუცილებლად გამოიყენებს. ფაქტია, საქართველოს უნივერსიტეტები არასახარბიელო სასწავლო ინფრასტრუქტურის პირობებშიც კი, სწორედ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის გამო, იზიდავენ უცხოელ სტუდენტებს, რაც იმიგრაციული პროცესების სტატისტიკაზე აისახება და არსებული სტატისტიკაც იმაზე მეტყველებს, საქართველოს აქვს პოტენციალი, იქცეს უმნიშვნელოვანეს განათლების კერად არარეზიდენტი სტუდენტებისთვის და კიდევ მეტად გაზარდოს საერთაშორისო ცნობადობა.

გამოყენებული ლიტერატურა

დეპარტამენტი, ს. (2018). *სავიზო ინფორმაცია.* მოპოვებული 2018 წლის 10 june, www.geoconsul.gov.ge: https://www.geoconsul.gov.ge/ka/visaInformation-დან

ზურაბიშვილი, თ. (2007). შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან; ემიგრაციული ქსელების განვითარება. თ. ზურაბიშვილი-ში, *შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან; ემიგრაციული ქსელების განვითარება* (გვ. 23-25). თბილისი.

ზურაბიშვილი, თ. (2007). *შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან; ემიგრაციული ქსელების განვითარება* . თბილისი.

კომისია, მ. ს. (2017). *მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი, უცხოელი სტუდენტები საქართველოში.* მოპოვებული 2018 წლის 15 May, www.migration.commission.ge: http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_a5_geo.pdf-დან

კომისია, მ. ს. (2017). *საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.* თბილისი: საქართველო.

კომისია, მ. ს. (2017). საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი. თბილისი, საქართველო. მოპოვებული 2018 წლის 4 მაისი , http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new.pdf-დან

კომისია, მ. ს. (2017). საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი. თბილისი. მოპოვებული 2018 წლის 5 June, http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new.pdf-დან

კომისია, მ. ს. (2018). *საქართველოს ვიზის კატეგორიები და ტიპები.* მოპოვებული 2018 წლის 7 june, migration.commission.ge: http://migration.commission.ge/index.php?article_id=159&clang=0-დან

კომისია, მ. ს. (თ. გ.). საქართველოს მიგრაციის 2015 წლის პროფილი. თბილისი. მოპოვებული http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf-დან

ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი. (2017). მოპოვებული 2018 წლის 5 june, migration.commission.ge: http://migration.commission.ge/files/immigration_geo_30.05.17.pdf-დან

მთავრობა, ს. (2013 წლის 15 March). *საქართველოს მთავრობის დადგენილება #59 საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.* მოპოვებული 2018 წლის 10 june, www.migration.commission.ge: http://migration.commission.ge/files/migration_strategy_geo.pdf-დან

მიგრაციის საკითები. (2018). მოპოვებული mra.gov.ge: http://mra.gov.ge/geo/static/3653-დან

სააგენტო, ს. ს. (2018). მიგრაცია. თბილისი, საქართველო. მოპოვებული 2018 წლის 5 june, https://sda.gov.ge/?page_id=5190-დან

სამინისტრო, ს. ს. (2018). საკონსულო ინფორმაცია. თბილისი, საქართველო. მოპოვებული http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoForeign.aspx-დან

სამინისტრო, შ. ს. (2018). რეკომენდაციები უცხოელი სტუმრებისათვის. თბილისი, საქართველო. მოპოვებული 2018 წლის 05 june, http://police.ge/ge/useful-information/recommendations-for-foreign-guests-დან

საქართველო, ს. გ. (2014 წლის 27 oct). *საქართველოს ახალი საიმიგრაციო პოლიტიკის გამოწვევები.* მოპოვებული 2018 წლის 15 june, http://www.transparency.ge: http://www.transparency.ge/ge/blog/sakartvelos-akhali-saimigratsio-politikis-gamotsvevebi#2.%20%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-დან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2015-2016). მოპოვებული 2018 წლის 4 june, http://mes.gov.ge: http://mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018 წლის 6 May). მოპოვებული http://www.geostat.ge/: http://www.geostat.ge/-დან

საქსტატი. (2016 წლის 28 4). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.* თბილისი. მოპოვებული 2018 წლის 4 6

AGENCY, C. I. (2017). *The world factbook, India* . მოპოვებული 2018 წლის 20 June, www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/geos/in.html-დან

AGENCY, C. I. (2017). *The world Factbook, Iraq*. მოპოვებული 2018 წლის 24 June, www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/geos/iz.html-დან

AGENCY, C. I. (2017). *The World Factbook; Nigeria*. მოპოვებული 2018 წლის 24 June, www.cia.gov: https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/geos/ni.html-დან

ALUSHI, A., & ORDONEZ, J. (თ. გ.). Migration and Decision-Making; The Role of Human Capital under a Rational Choice Approach. მოპოვებული 2018 წლის 5 June, https://aperitivoaccademico.files.wordpress.com/2016/03/alushi-ordonez-migration-and-decision-making.pdf-დან

Bijwaard, G. E., & Wang, Q. (2013). Review of Related literature. *Return migration of Foreign Students.*-ში Bonn: Institute for the Study of Labor .

Bowles, S. (2018 წლის JUNE 01). *The MIT press*. მოპოვებული https://www.jstor.org: https://www.jstor.org/stable/1926312?read-now=1&seq=2#page_scan_tab_contents-დან

Deshpande, M. S. (2010). *HISTORY OF THE INDIAN CASTE SYSTEM AND ITS IMPACT ON INDIA TODAY.* San Luis: CALIFORNIA POLYTHECHNIC STATE UNIVERSITY,.

Division, U. N. (2014 წლის 27 January). DEFINITIONS OF MIGRATION POLICY VARIABLES. მოპოვებული http://www.un.org/en/development/desa/population/publications/pdf/policy/InternationalMigrationPolicies2013/Report%20PDFs/d_definitions%20of%20migration%20policy%20variables.pdf-დან

Elise S. Brezis, Ariel Soueri. (2011 წლის September). *Why do Students Migrate? where do they migrate to?* მოპოვებული Alma Laurea: http://www2.almalaurea.it/universita/pubblicazioni/wp/pdf/wp25.pdf-დან

KWON, D.-B. (2009). HUMAN CAPITAL AND ITS MEASUREMENT. *The 3rd OECD World Forum on "Statistics, Knowledge and Policy" Charting Progress, Building Visions, Improving Life* (გვ. 1-15). Busan : Charting Progress, Building Visions, Improving Life.

Lee, E. S. (1966). A Theory of Migration. E. S. Lee-ში, *Demography* (ხმა 3, გვ. 47-57). Population Association of America. მოპოვებული https://emigratecaportuguesa.files.wordpress.com/2015/04/1966-a-theory-of-migration.pdf-დან

LU, Y. (2006). *STUDYING ABROAD AND MIGRATION MOTIVATIONS:.* Saskatchewan, Canada. მოპოვებული https://core.ac.uk/download/pdf/55300599.pdf-დან

Massey, D. (2014 წლის 5 December). International migration in theory and practic. Princeton, New Jersey, USA. მოპოვებული 2018 წლის 1 June, https://www.imi-n.org/imi-archive/news/douglas-massey-international-migration-in-theory-and-practice-დან

Massey, D. S. (1993). Theories of International Migration: A review and Appraisal. *Population and Development Review*, 431-466, 432.

Portes, R. (1996). *Immigrant America, A portait,* (2nd გამ.). Berkeley, Los Angeles, London: University of California Press. მოპოვებული file:///C:/Users/HP/Downloads/Portes%20and%20Rumbaut%20Immigrant%20America.pdf-დან

Rosenzweig, M. R. (2006). *Higher Education and International Migration in Asia: Brain Circulation.* Beijing: Yale University.

SMITH, R. L. (2006). *USING HUMAN CAPITAL THEORY TO DEVELOP A POLICY APPROACH TOWARDS COLLEGE STUDENT MIGRATION IN ILLINOIS.* Urbana: Urbana, Illinois.

Types of migration; international students. (2018 წლის 13 March). მოპოვებული https://migrationdataportal.org: https://migrationdataportal.org/themes/international-students-დან

დანართები

დიგრამა #1



	საქართველო	რუსეთის ფედერაცია	თურქეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი	უკრაინა	ინდოეთი	აშშ	ქუვეითი	ისრაელი	ჩინეთი	სხვა	მოქალაქეობის არმქონე
ემიგრანტი	67,269	5,105	2,136	1,552	1523	1487	849	668	653	445	342	3370	52
იმიგრანტი	48343	9723	4365	2275	2042	501	904	1075	2686	569	429	7246	81

წყარო: *(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)*

დიაგრამა #2



წყარო: *(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)*

დიაგრამა #3



წყარო: *(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)*

დიაგრამა #4



წყარო: *მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია; საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი*

დიაგრამა #5



წყარო: ***The State of Migration in Georgia; 2015 (ENIGMMA)***

დიაგრამა #6



წყარო: ***მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია***

დიაგრამა #7



წყარო: *მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია*

დიაგრამა #8



წყარო: *თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Salome Beroshvili

International student migration in Tbilisi: social-economical aspects

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Ia Iashvili**

Associate Professor

Tbilisi 2018